ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
მტაცებლები
10 ლარი




პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2013 | №241 (6242) | ფასი: 30 თეთრი

# „კოდორის ხეობაში რუსების შეჩერების უფლება ვანო მერაბიშვილმა არ მოგვცა“ გვ. 6

## ნანა დევდარიანი: „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ მეორე ადგილზე ბაქრაძე გაიყვანოს“ გვ. 2





გორის მაჟორიტარი პრეზიდენტს სიცრუეში ადანაშაულებს

## სოსო ვახტანგიშვილი: „მცოცავი ოკუპაციის შედეგად 55 ჰექტარი მიწა მავთულხლართებში მოექცა“ გვ.5



## ზაზა ხატიაშვილი: „პრემიერს ბინძური ინიციატივა დავუბლოკე“ გვ. 3



## ვაჟა ადამია პაატა ზაქარეიშვილისა და ლევან ყიფიანის გადადგომას ითხოვს გვ.4

## პაატა დავითაია: „რუსული მავთულხლართები ნავთობსადენს უახლოვდება“ გვ. 4



## საპარტნიორო ფონდი უპრეცედენტო მასშტაბის ენერგეტიკულ პროექტს ახორციელებს გვ.7



## თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს ადასტურებს

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა უარყოფენ ინფორმაციას, რომ იქ 80 ჯარისკაცი მოიწამლა.

როგორც „ნიუსპრესს“ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ლევან ჯორბენაძემ განუცხადა, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე რამდენიმე დღის წინ მხოლოდ 3 ჯარისკაცი მოიწამლა, რომლებიც ამჟამად მკურნალობის კურსს სამხედრო ჰოსპიტალში გადიან. ჯორბენაძის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, თავდაცვის უწყება ოფიციალურ ინფორმაციას ხვალ გაავრცელებს.

„სამხედრო ბაზაზე ინციდენტი ნამდვილად დაფიქსირდა, თუმცა ეს მოწამვლა არ არის. რამდენიმე დღის წინ 3 ჯარისკაცს ხელების დაუბანლობის გამო დიარეა დაემართა და ჰოსპიტალში გადავიყვანეთ. ამასთან დაკავშირებით სამინისტრო ხვალ ოფიციალურ ინფორმაციას გაავრცელებს“, – განაცხადა „ნიუსპრესსთან“ საუბარში ლევან ჯორბენაძემ.

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საკვებით 80 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით, ინფორმაცია გუშინ გავრცელდა. სამხედრო ნაწილებში მოწამვლის ფაქტები უახლოეს წარსულში ქუთაისში გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებშიც დაფიქსირდა. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის შედეგად გახდა ცნობილი, სენაკში, შეიარაღებული ძალების ეროვნულ ბრიგადაში, 2013 წლის 25 ივლისს 52 ჯარისკაცი მოიწამლა. 2 ოქტომბერს კი პირველ ქვეით ბრიგადაში, რომელიც ვაზიანშია განლაგებული – 20 სამხედრო. ექიმების დიაგნოზი ყველა შემთხვევაში კვებითი ინტოქსიკაციაა.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385

6 გიორგი თევზაძე: „ხუდონჰესის აშენება ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს“

3 გიორგი ლაღიძე: „საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება არის უთავმოყვარეო“

5 რას საქმიანობენ მაჟორიტარები

6 აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რუსეთის ქმედებებს გმობს

# ნანა დევდარიანი: „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ მეორე ადგილზე ბაქრაძე გაიყვანოს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, მოდით, სოჭის ოლიმპიადაზე საუბრით დავიწყოთ. თქვენთვისაც ცნობილია, თუ როგორი დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა დაიჭიროს ამ შემთხვევაში საქართველოს მხარემ?***

— რა არის იცით? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ვებრძვით შედეგებს და არა მიზეზებს. აჟიოტაჟი ტყდება მეორეხარისხოვან საკითხებზე და არა მთავარზე. როცა ამომრჩეველი, გარდა იმისა, რომ სააკაშვილს ეუბნეოდა არას, მან მხარი დაუჭირა ქართულ ოცნებას იმიტომაც, რომ რუსეთთან დარეგულირების იმედები იყო. გადავხედოთ ამ განვლილ ერთ წელიწადს, რაიმე ნაბიჯი გადადგმულა თუ არა. ეს არის უფრო სიმულაცია, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების, თორემ რეალურად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა. არც შეხვედრები, არც რაღაცა პირდაპირი დიალოგის მცდელობები. ახლა კარასინი და აბაშიძე თუ ერთმანეთს ხვდებიან, ისინი პოლიტიკურ საკითხებს საერთოდ არ ეხებიან. ეხებიან მარტო ჰუმანიტარულ, კულტურული ურთიერთობებისა და ეკონომიკურ საკითხებს. ამ ურთიერთობებში მთლიანად ეწერება სოჭის ოლიმპიადა. ახლა ამ შეზღუდულ ფორმატში სოჭის ოლიმპიადაზე აქცენტის გაკეთება არის სრული უაზრობა. აგერ მავთულხლართები გაჰყავთ ჩვენს ტერიტორიაზე და ამასთან დაკავშირებით სრულიად გაუგებარი განცხადებები კეთდება და მთელი აქცენტები გადააქვთ სოჭის ოლიმპიადაზე.

***— რატომ არა აქვთ პოზიცია თუნდაც ამ მავთულხლართებთან დაკავშირებით?***

— პოზიცია როგორ არა აქვთ, მაგრამ პოზიციის განცხადება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ არაფერი არ გაკეთებულა ამ ერთი წლის განმავლობაში. პოზიცია აქვთ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც და ახალსაც, მაგრამ რას შველის ეს პოზიცია?! ვერ გავიგე, საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაზილიაში და ასეთ ქვეყნებში რომ დადის, რომელიც ნამდვილად არ წარმოადგენს ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის არაფერს განსაკუთრებულს, რატომ არ ფიქრობს იმაზე, რომ რუსეთის მიმართულებით რაღაცა უამრავი სხვადასხვა გზის და ფორმატის მოძებნა შეიძლება. პრობლემა იცით რაშია? ძველებიც და ახლებიც ამბობენ, რომ რუსებთან პირდაპირ არ უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვილაპარაკოთ მარტო ჩვენი მეგობარი ქვეყნების ჩარევით და მათი მედიატორობით. ხშირად მოლაპარაკებებში ისეთი მომენტი არსებობს, სადაც მესამე თვალი და მესამე ყური არც ერთ მხარეს არ სჭირდება.

***— პირდაპირ ჯობია, ერთი ერთზე?***

— რა თქმა უნდა, და ამის პარალელურად უნდა იყოს მცდელობები, რომ რუსებთან და აფხაზებთან დაიწყოს დიალოგი. ჩვენ ისე ვიქცევით, რომ შეურაცხყოფას ვაყენებთ იმ ხალხს, თითქოს იმ ხალხს თავიანთი აზრი არა აქვთ და რუსები რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებენ. ეს ასე არ არის. მათ აქვთ თავიანთი პოზიციები მთელ რიგ საკითხებში და რუსეთს ყველაფერზე კი არ უქნევენ თავს.

***— ეს რა არის, ხელისუფლების უუნარობა თუ საგარეო პოლიტიკის არცოდნა?***

— პირდაპირ ასახულია დღევანდელ მდგომარეობაში ის, რომ ოცნების დიდი ნაწილი და ნაციონალები ერთნაირად უდგებიან ამ საკითხს. ერთნაირად ცალსახად პროდასავლურები არიან და რუსეთის მიმართ ორივე მხარე ერთნაირად ლაპარაკობს. უუნარობა კიდევ ცალკე უბედურებაა, რასაც ჩვენ ვხედავთ ბოლო 11 თვეა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა პრემიერისგან ისმის, რომ აი, ჩვენ ამას ვერ ვაკეთებთ იმიტომ, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები ვერ გაგვიგებენ. რას ჰქვია, ვერ გაგიგებენ, კაცო, თუ სიმართლე შენს მხარეზეა, ძალიანაც კარგად გაგიგებენ. ისინი პირველ რიგში სწორედ იმას ვერ იგებენ, როცა შენ არ ცდილობ, რუსეთთან ურთიერთობა მოაწესრიგო და ამ შემთხვევაში ევროპა მყავს მხედველობაში. იმათი შემყურე ხარ, ისინი რას იტყვიან. სიტყვაზე ვიძახი, შენ გამო ანგელა მერკერი რატომ დაუპირისპირდება რუსეთს, როცა უზარმაზარი სავაჭრო ბრუნვა აქვს და არც ერთი ქარხანა ამ კრიზისის დროს გერმანიას არ დაუხურავს, მათი ძირითადი ბაზარია რუსეთი. მარტო ნავთობზე და გაზე რომ ლაპარაკობენ, გაზს აწვდის რუსეთი და როცა უნდა, გადაუკეტავსო. გაზზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ მერკერმა შეინარჩუნა ყველა სამუშაო ადგილი გაგანია კრიზისის დროს და ამიტომაც მოიგო არჩევნები. ძალიან უნდა გინდოდეს, რომ ეს პროცესები ვერ დაინახო, ვერ მიხვდე და ვერ გაიგო. უყურებენ პირში ამ ჩვენ დასავლელ მეგობრებს და ჰგონიათ, რომ ისინი ჩვენ მაგივრად დაუწყებენ რუსეთს ჩხუბს, არ ხდება ეს ასე.

***— ამ ფონზე რას ელოდებით საგარეო კუთხით?***

— ეს გუნდი ასე თუ გააგრძელებს, ვერაფერში წარმატებას ვერ მიაღწევს. როგორ არის, იცით, მეოთხედი უკვე მათი ვადის გავიდა, საქმის ერთი მეოთხედი თუ არა, ერთი მეექვსედი მაინც ხომ უნდა იყოს გაკეთებული? ეს ეკონომიკური დაპირებები, რომ პირველი წელიწადი ცოტა რთული, მეორე და მესამე უკეთესი და ოთხი წლის მერე ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება ეკონომიკაში რაღაცა გეგმა არსებობს, რომელიც მეოთხე წელიწადს მოიტანს შედეგს, მაგრამ ჩვენი მთავარი პრობლემა რა არის დღეს? ქვეყნის მთლიანობა და ამ კუთხით საგრძნობი არაფერი არ არის. თვითონ ივანიშვილის ფორმულა რომ ავიღოთ პირველ წელს ცოტა უკეთესობას ვიგრძნობთო, რა ვიგრძენით ამ კუთხით უარესობის გარდა?



***— კიდევ უფრო გადმოიწია მავთულხლართებმა აქეთ...***

— იცით რაშია საქმე, ყველაფერს უნდა მუშაობაა, თანაც ყოველდღიურ რეჟიმში. როდესაც რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთი, როგორც სახელმწიფო, მათ შორის სხვათა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, თუ არ ვცდები 2009 წელს, საზღვრის დაცვის შესახებ და ისინი იღებენ საზღვრად იმ საზღვარს, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ადმინისტრაციულ საზღვრად იყო აღიარებული. ახლა ამის ვერ განჭვრეტა ძალიან არ უნდა გინდოდეს, რომ ვერ მიხვდე, რომ ეს ასე იქნებოდა. ამ საკითხზე მაინც უნდა დაწყებული იყო სასწრაფოდ მოლაპარაკება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, სააკაშვილის დროს ახალგორი რომ მიუერთეს და გაზარდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია. ესეც აღებული იქნა სამოქმედო გეგმის საფუძვლიდან.

***— ისტერიკას ხომ არ ავტეხავთ წინა ხელისუფლების მსგავსადო...***

— ისტერიკა კი არ უნდა ატეხონ და ჩვენ კი არ უნდა გველაპარაკონ, ეს არის რაღაცა ქართული სენი, საბჭოთა კავშირის დროსაც ასე იყო, პროგრამა „ვრემიაში“ რაღაცას იტყოდნენ და ჩვენ აქ ჩვენი ტელევიზიით ვპასუხობდით. ეს არის სისულელე, სრული. აქ კი არ უნდა ატეხონ ისტერიკა, იმასთან უნდა მოძებნონ საერთო ენა და დაელაპარაკონ.

***— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ძალიან უნდობლად უყურებს საზოგადოება საპრეზიდენტო არჩევნებს, ყველა სოციოლოგიურ კვლევაში მეორე ადგილს იკავებს დავით ბაქრაძე. ვნახეთ, როგორი ხმაურიანი ყრილობაც გამართეს. რა ხდება, მართლაც ასეთი სურათი ხომ არ დაიდება?***

— ამზადებენ ამ სურათს, რომ მეორე ადგილზე ყველა საშუალებით და ყველა ხერხით გაიყვანონ ბაქრაძე. ეს არის პირდაპირ ქართველი საზოგადოების სულში ჩაფურთხება. ისინიც იმიტომ არიან ასე გათამამებულები, რომ გრძნობენ, რომ ქართულ ოცნებასაც უნდა ეს, ყოველ შემთხვევაში, მის ნაწილს. გაცხადებული აქვს, რომ გვირჩევნია მეორე ადგილზე ბაქრაძე, ვიდრე ბურჯანაძეო. ეს კარგს არაფერს არ მოიტანს, იმიტომ, რომ ეს გაყალბების გარეშე ვერ მოხდება. თუ ბიძინა ივანიშვილს უნდა, რომ ქართული პოლიტიკიდან წავიდეს არჩევნების გამყალბებლის სახელით, მაშინ იმოქმედონ ასე. არა მგონია, რომ მათ ეს უნდოდეთ.

***— ქალბატონო ნანა, თქვენც გეცოდინებათ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ ციხიდან გავრცელებული განცხადება, მერაბიშვილი დაუპირისპირდა ნინო ბურჯანაძეს, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ამტკიცებს, რომ ჩანაწერი ნამდვილია და მისი სრული ვერსია ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროშიო. მერაბიშვილის განცხადება ამ წინა საარჩევნოდ, ცოტა საეჭვოდ ხომ არ მოგეჩვენათ?***

— საეჭვო კი არა პირდაპირ არის თვითილუსტრაცია. ერთი გეგმით მოქმედებენ. დავუკვირდეთ, ნინო ბურჯანაძეს ერთნაირად უპირისპირდება როგორც ქართული ოცნება, ისე ნაციონალური მოძრაობა. თან იძახიან, არანაირი შანსი არა აქვს, მეორე ადგილზეც კი ვერ გავაო. კაცო, თუ ასე შანსი არა აქვს და ვერსად ვერ გადის, მაშინ რატომ უპირისპირდება ორივე ძალა მაინცდამაინც ბურჯანაძეს? მეტი არავის არ დაპირისპირებიან ხომ? რამდენი სარჩელი აქვს შეტანილი ბურჯანაძეს, აღარ მახსოვს უკვე, სულ კეთდებოდა ამაზე განცხადებები, რომ გამოიძიეთ, გაარკვიეთ. რა იყო ამ ერთ წელიწადში, ეს მაინც ვერ გამოიძიეს?! დედა-შვილის სატელეფონო ჩანაწერზეა საუბარი?

***— დიახ, სწორედ ამ ჩანაწერზე...***

— რატომ იმაზე არ ლაპარაკობენ, რომ ექსპერტიზამ თქვა, რომ იმ პოლიციელს ბურჯანაძის მანქანასთან საერთოდ შეხება არ ჰქონია, ვინც გარდაიცვალა. ამაზე რატომ არ ლაპარაკობენ?! აღარ უნდა დამთავრდეს ეს სამხილებები და მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება ამ ქვეყანაში? როდემდე შეიძლება ეს? საქმეც ეგაა, შიში აქვთ მაგათ, რომ მეორე ადგილზე კი არა, შეიძლება პირველ ადგილზეც გავიდეს ბურჯანაძე და ეს შიში აკეთებინებს ამას. მერაბიშვილმა ეს განცხადება რომ გაავრცელა, ის აღარ მოუყოლებია, ათასობით ფაილები რომ იყო მათ მიერ გადაღებული უკანონოდ ჩაწერილი, ის სადღა ინახებაო?! მარტო ბურჯანაძე ჰყავს ეტყობა ამ ეტაპზე ამოჩემებული, ეტყობა უთხრეს ეგრეა საჭიროო.

***— როდესაც მხოლოდ ამ ორი ძალის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული საარჩევნო კომისიები, რამდენად დაუშვებენ ბურჯანაძის წარმატებას?***

— არჩევნები ყალბდება უბნებზე, ეს ყველამ კარგად ვიცით და მათ ისე გაინაწილეს ადგილები, რომ უბნებზე მარტო თვითონ არიან, სწორედ ამის იმედი აქვთ. მაგრამ ხო მარ შეიძლება აიღო და ყველა ხმა გააყალბო. გარდა ამისა, იქ იქნებიან პრეზიდენტობის კანდიდატობის წარმომადგენლებიც. მოსახლეობისთვისაც ძალიან ძნელი ასახსნელია ახლა, პატარა სოფელში ყველამ რომ იცის, ვინ ვის აძლევს ხმას, იქ როგორ უნდა ახსნა სრულიად საპირისპირო შედეგები.

***— საუბარია იმაზე, რომ თუკი ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდა, ქაოსი და მღელვარება გარდაუვალი იქნებაო...***

— ქაოსი არ ვიცი, მაგრამ ამომრჩევლის უკმაყოფილება, რომ გარდაუვალი იქნება ამას დანამდვილებით გეუბნებით. ივანიშვილის ხათრით, ერთი წელია ხალხი იტანს 40%-ით ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში. მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილმა მიიღო ეს შედეგი და აღიარა, რაც შეცდომაა და არ უნდა გაეკეთებინა. ახლა ამ არჩევნებზე ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანა ეს იქნება ბოლო წვეთი. ამის შემდეგ ქართულ ოცნებას ყველაფერზე მოსთხოვენ პასუხს. მარტო საპრეზიდენტო არჩევნებზე კი არა, ყველა შეუსრულებელ დაპირებაზე. მაგათ ისიც არ ესმით, რომ ახლა ნაციონალების და ბაქრაძის წახალისებით იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც თვითონ სხედან. ისინი თავიანთ მეორე ადგილს გაინაღდებენ მათი დახმარებით და მეტი არაფრის იმედი არ შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ისევ მაგათ შემოუბრუნდებიან. ჯერ არ გაუკეთებიათ ეს?!

***— ნაციონალების უკან დაბრუნების შანსი რამდენად მატულობს?***

— თუ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, ეს შანსი სერიოზულად იზრდება. მათთვის მეორე ადგილი, იცით, რა არის? ამით ისინი მოახდენენ მომხრეების მობილიზაციას, მათ დაკარგეს მომხრეები. ბაქრაძის მეორე ადგილით ისინი აფიქსირებენ, რომ აი, ჩვენ მეორე ძალა ვართ და ყვიროდა კიდეც ყრილობაზე სააკაშვილი, ჩვენ იმაზე მალე მოვბრუნდებით, ვიდრე მაგათ ჰგონიათო. მარგველაშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაში მათი შანსი ასევე იზრდება. ამიტომ მათთვის წაუგებელია პირველი ადგილი – მარგველაშვილი და მეორე ადგილი – ბაქრაძე. ნაციონალების მთავარ მიზანს ასრულებენ ახლა ოცნების წარმომადგენლები, როდესაც უქმნიან ასეთ ხელსაყრელ პირობებს და აცხადებენ, მეორე ადგილზე გვირჩევნია ბაქრაძეო.

***— რა პროცესებს ელით არჩევნების შემდეგ?***

— გააჩნია იმას, თუ როგორ ჩაივლის არჩევნები.

# ნინო ბურჯანაძე: „ადამიანების დაშინებას ცდილობენ“



პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სამეგრელოში აბაშის მოსახლეობას შეხვდა. როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აღნიშნა, სამეგრელოს მოსახლეობის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა აქვს და მისი და მოსახლეობის პოზიციები გარკვეულ საკითხებზე ერთმანეთს ემთხვევა.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამეგრელოში მოსახლეობასთან შეხვედრა, რადგან როგორც ვხვდები, დებატები ჩემსა და გიორგი მარგველაშვილს შორის არ იქნება და ამ ხალხს არ ექნება შესაძლებლობა ჩემს პოზიციას გაეცნონ, ამიტომ ყველანაირად ვცდილობ, რომ ადამიანებამდე მივიტანო ჩემი პროგრამის ძირითადი დებულებები, ვუპასუხო ნებისმიერ მათ კითხვას“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, თანდათან გამოჩნდა ნიშნები იმისა, რომ ადგილებზე ადამიანების მოსყიდვას ან დაშინებას ცდილობენ, თუმცა, იგი იმედოვნებს, რომ ხალხი მაინც სწორ არჩევანს გააკეთებს.

„ხალხს ძალიან კარგად ესმის, რომ სამწუხაროდ, დღეს ძალიან ემთხვევა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესი, რომ არ დაუშვან ბურჯანაძის პრეზიდენტობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი მომხრეების მეშვეობით, შევძლებ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებას“ – განაცხადა მან.

ნინო ბურჯანაძემ საპრეზიდენტო პროგრამის იმ ძირითად მიმართულებებზე გააკეთა აქცენტი, რომელიც მოსახლეობისთვის აქტუალურია, საუბარია ჰესების მშენებლობაზე.

„ეს ჩვენს პროგრამაშიც წერია, რომ უარს ვამბობთ გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, იმიტომ რომ საქართველო არის პატარა ქვეყანა, არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი საუკეთესო ხეობები, სოფლები, სასაფლაოები, ეკლესიები დავტბოროთ და დავფაროთ წყლით“ – აღნიშნა მან. ბურჯანაძის თქმით, „ქართული ოცნების“ შარშანდელი პროგრამაში ეწერა, რომ ხუდონჰესი არ აშენდებოდა, ახლა კი, მათ საზოგადოებს უნდა აუხსნან, რატომ შეცვალეს რადიკალურად პოზიცია ერთი წლის თავზე.

გუშინვე ნინო ბურჯანაძემ წალენჯიხასა და ჩხოროწყუში გამართა შეხვედრები.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზაზა ხატიაშვილი: „პრემიერს ბინძური ინიციატივა დავუბლოკე“

შორენა კოწოწაშვილი

„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის და მთავარი პროკურორის მოადგილის — ლაშა ნაცვლიშვილის მიერ ჩადენილი კონკრეტული სისხლის სამართლებრივი დანაშაულობებიდან გამომდინარე, ევროკავშირის ხელმძღვანელობას ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების ამ სამი მაღალჩინოსნის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებისკენ მოუწოდებს.

ზაზა ხატიაშვილმა უკვე ოფიციალურად მიმართა ევროკომისიის პრეზიდენტ მანუელ ბაროზოს, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ევროკავშირის კომისიის უმაღლეს წარმომადგენელს ქეთრინ ეშტონს, აშშ-ის სენატის სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე დიკ დიუბრინს, რომ გამოიყენონ სანქციები და ევროკავშირის ტერიტორიაზე ირაკლი ღარიბაშვილს, არჩილ კბილაშვილს და ლაშა ნაცვლიშვილს შესვლა-გადაადგილება აეკრძალოთ.

„ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ევროკავშირის და აშშ-ის ხელმძღვანელობის სახელზე გაკეთებული განცხადება ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააცნო. მან პრესის წარმომადგენლებს მოუწოდა, აქტიურად გააშუქონ ის კანონდარღვევები, რაც ამ ხელისუფლების პირობებში ხდება. ხატიაშვილის თქმით, რა ტენდენციასაც სააკაშვილის რეჟიმის პირველ წელს ჰქონდა ადგილი, დღესაც იგივე ხდება ანუ ივანიშვილის და სააკაშვილის მმართველობა ერთნაირია.

— სააკაშვილის რეჟიმი არჩევნების შემდეგ მოქმედი მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ ჩაანაცვლა. ივანიშვილი მოსახლეობამ აირჩია მხოლოდ იმიტომ, რომ მან პირობა დადო, რომ ქვეყანაში დამთავრდებოდა წამება და არაადამიანური მოპყრობა. ამის მიუხედავად, ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის მსგავსად დაადგა ადამიანის წამების, არაადამიანური მოპყრობის გზას, რაც აღმაშფოთებელია. ვფიქრობ, დემოკრატიულმა ქვეყნებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ზომები. საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტები აღარ იარსებებენ. საქართველოს პოლიციის დაწესებულებებში მიდის ადამიანების წამება და არაადამიანური მოპყრობა, რაზეც არავინ რეაგირებს, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

„ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის თქმით, ევროსასამართლოს მიერ ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევაში დადანაშაულებულ პირებს ნაცვლად იმისა, რომ პასუხი მოსთხოვონ, აწინაურებენ, რაც აღმაშფოთებელი ფაქტია. ამაზე საზოგადოება მწვავედ რეაგირებს და ეს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს.

უფლებადმაცველი ფიქრობს, რომ დღეს სამოქალაქო საზოგადოება დაუცველია, როგორც არასდროს. მას არ გააჩნია პოლიტიკური ძალადობისგან თავის დაცვის შესაძლებლობა. უფლება არ აქვს, ადვოკატის მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება. დარღვეულია დაცვისა და ბრალდების მხარის თანასწორობის პრინციპები, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიერ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულმა შს მინისტრმა ღარიბაშვილმა, მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და მისმა მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა გაუგონარი ძალადობა ჩაიდინეს სამოქალაქო სექტორთან მიმართებაში. კერძოდ: ევროსასამართლომ გასული წლის 18 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი — რევაზ დვალიშვილთან მიმართებაში წამება, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობა. ხატიაშვილის თქმით, პროკურატურამ გაამართლა მოძალადე პოლიციელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რევაზ დვალიშვილმა დაზიანებები მიიღო უშუალოდ დაკავების პროცესში, მიწაზე ერთჯერადი დაცემით.

ხატიაშვილის თქმით, ევროსასამართლოს დადასტურებული აქვს, რომ პოლიციელები ამბობენ სიცრუეს, თითქოს დვალიშვილმა დაზიანებები მიიღო ერთჯერადი დაცემის შედეგად. „ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელს აინტერესებს, რატომ არ მისცა კბილაშვილის უწყებამ პასუხისგებაში პოლიციელები დვალიშვილის წამების გამო. უფრო მეტიც, დვალიშვილის მთავარი მწამებელი — რევაზ ქობულია ივლისში წყალტუბოს პოლიციის უფროსად დაინიშნა.

— როცა შს მინისტრმა ეს უკანონობა ჩაიდინა, მთელი მსოფლიო დარწმუნდა, ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილი. ყველა საერთაშორისო დოკუმენტით აკრძალულია წამებაში მონაწილე პირების წახალისება. კბილაშვილმა, ღარიბაშვილმა და ლაშა ნაცვლიშვილმა გაუგონარი რამ ჩაიდინეს სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში და წამება წაახალისეს. ქობულიას წყალტუბოს პოლიციის უფროსად დანიშვნა და რევაზ დვალის მეორე მწამებელის, მალხაზ მჟავიას წყალტუბოს ერთ-ერთი პოლიციის უფროსად დანიშვნა, იმის ნიშანია, რომ პოლიციელს აქვს ყველაფრის უფლება. ღარიბაშვილმა, კბილაშვილმა და ნაცვლიშვილმა აჩვენეს ამ ქმედებით, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს ტერიტორიაზე არ მოქმედებს, რაც საგანგაშოა, — აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე საუბრობს ხატიაშვილი მანუელ ბაროზოს სახელზე გაგზავნილ წერილშიც და მოუთითებს, თუ შს მინისტრმა, მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა და მისმა მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა პასუხი არ აგეს ამ გაუგონარი ძალადობისთვის, რაც მათ ჩაიდინეს, სამოქალაქო საზოგადოება იქნება დაშინებული და ძალადობაზე ხმას ვერავინ ამოიღებს.

„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ფიქრობს, რომ მოქალაქეების წამებაში მონაწილე პოლიციელების ასეთი წახალისება არალეგიტიმურს ხდის საპრეზიდენტო არჩევნებს.

— მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ სანქციები და ევროკავშირის ტერიტორიაზე აეკრძალოთ შესვლა-გადაადგილება მაღალჩინოსნებს: ირაკლი ღარიბაშვილს, არჩილ კბილაშვილს და ლაშა ნაცვლიშვილს, როგორც წამებაში მონაწილე პირების მფარველებს, — წერს ევროკავშირის პრეზიდენტ მანუელ ბაროზოს საქართველოს „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.

პრესკონფერენციის შემდეგ ზაზა ხატიაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

— ბატონო ზაზა, რატომ ხდება, რომ დემოკრატიული ღირებულებების დაცვის და სამართლიანი სასამართლოს ანუ სამართლებრივი გარემოს შექმნის დაპირებებით მოსული ხელისუფლების პირობებში შს მინისტრის და მთავარი პროკურორის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადებას ითხოვთ? ვითარება არც ისე სახარბიელოა სამართლებრივ ფლანგზე?



— 1 ოქტომბერი დიდი მოლოდინის დღე იყო სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რადგან სააკაშვილის რეჟიმი ახრჩობდა სამოქალაქო საზოგადოებას და ეს რეჟიმი უნდა შეცვლილიყო. დღევანდელი გადმოსახედიდან, ვფიქრობ, ბიზნესის ნიჭით დაჯილდოვებულმა ივანიშვილმა პირველმა იყნოსა ეს სიტუაცია მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმი სამოქალაქო სექტორის არნახულ დევნაზე გადავიდა. ივანიშვილი მიხვდა, რომ უნდა ემოქმედა. მან შექმნა „ქართული ოცნება“ და საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა მიიღო არჩევნებში, რადგან ხალხმა კარგად იცოდა მისი ქველმოქმედების შესახებ. მოვიდა დეკემბერი, თვე-ნახევრის მოსულია ივანიშვილი ხელისუფლებაში და ღარიბაშვილის უწყებაში დაიწყო ადამიანების არნახული დევნა. პირველი კონტურები ამის იყო ლაშა და გიორგი სოზაშვილებზე თავდასხმა, რომლებსაც პოლიციელებმა მიაყენეს შეურაცხყოფა და აქეთ დააკავეს ძმები პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის. მაშინ ადვოკატები ითხოვდნენ ერთ დოკუმენტს პროკურატურიდან — წარმოგვიდგინეთ მტკიცებულება, რომ ძმები სოზაშვილები პოლიციაში რომ შეჰყავდათ, მათ ეცვათ თუ არა პოლიციელების ფორმა. პოლიციელებმა ფორმები დახიეს და ნივთმტკიცებად ჩადეს საქმეში თავიანთი ქმედება რომ გაემართლებინათ. კბილაშვილმა გაუშვა საქმე სასამართლოში და იმდენად დიდი დარღვევები იყო საქმეში, რომ მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა ძმები სოზაშვილები გაამართლა. სასამართლო სხდომაზე კურიოზი მოხდა: პოლიციელების ფორმა რომ ამოიღეს, ფორმა ახალი იყო და რაღაც ნაწილები მოხეული ჰქონდა, ჯიბეში კი იდო სხვა პოლიციელების დენისა და გაზის ქვითრები. ეს იმის დადასტურება იყო, რომ მტკიცებულებები ჩაყარეს. ამიტომ მოსამართლემ მიიღო ლოგიკური გადაწყვეტილება. ამის შემდეგ ადგა კბილაშვილის უწყება და სააპელაციო საჩივარი დაწერა. როცა დეკემბერში ეს საქმე გავახმაურე, ვთქვი, ერთად დავდგეთ, თორემ ღარიბაშვილი არის ძალიან გაუწონასწორებელი მინისტრი და სამოქალაქო საზოგადოებას ცუდად დაგვიჯდება მაგის გამოხტომები. არავინ დამიჯერა, როგორც 2005 წელს არ დამიჯერეს გიორგი მიქიაშვილის საქმეზე. მაშინ ვამბობდი, გვერდში დამიდექით, თორემ ეს თუ შერჩათ, ქუჩაში ხალხის ჩახოცვას დაიწყებენ-მეთქი. ასეც მოხდა. შემდეგ ხდება საიას წევრზე თავდასხმა და პოლიციის მხრიდან მტკიცებულებების განადგურების მცდელობა. მაშინაც გავაკეთე განცხადება, შევაჩეროთ ღარიბაშვილი, თორემ ქუჩაში დაიწყებენ ხალხის ჩახოცვაო. იცით, რომ შემდეგ 18 წლის გიგი სვანს დამიზნებით ესროლა კრიმინალური პოლიციის მეოთხე სამმართველოს უფროსმა. სვანი ღმერთის წყალობით გადარჩა, ოპერაცია გაუკეთდა. პოლიციელი, მგონი, ერთი დღე იჯდა ციხეში და გირაოთი გაათავისუფლეს. 30 მაისს პარლამენტის წინ აქცია ჩავატარე და ბორკილები დავიდე, რითაც პარლამენტის მიერ ადვოკატის უფლებების შეზღუდვა გავაპროტესტე. არადა, ეს ხელისუფლება სამართლიანი სასამართლოს პრინციპით მოდიოდა. სამართლიანი სასამართლოს პრინციპი არის ევროკონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ დაცვა და ბრალდება თანაბარ პირობებში უნდა იყოს. დღევანდელმა პარლამენტმა ადვოკატს ინფორმაციის ანუ მტკიცებულების გამოთხოვის უფლება შეუზღუდა. ამაზე მკაცრი შეფასებები გავაკეთე და ვთქვი, რომ თუ ივანიშვილს ეს შერჩებოდა, სამოქალაქო სექტორის დევნაზე გადავიდოდა ეს ხელისუფლება. იქამდე პრემიერ-მინისტრმა, რომელიც თითქოსდა პოლიტიკიდან მიდის, უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნა მოინდომა. მაშინ 12-ს დეპუტატს უმრავლესობიდან ეყო ღირსება, რომ ეს ფაქტი არ დაეშვა. ისინი, ივანიშვილის ამ მოთხოვნას, ფაქტობრივად, წინ აღუდგნენ. პოლიციის ძალადობა სულ უფრო ძლიერდება და მამუკა მიქაუტაძე, რომელმაც ჩვენება მისცა, გამოდის და თავს იკლავს. არსებობს კადრები, სადაც ჩანს, რომ მოწმეს ბორკილები ადევს. ეს არის ადამიანის უკანონოდ დაკავება. ეს პრემიერმაც ნახა და მას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. პირიქით, დაგვაყვედრა, ღარიბაშვილი წარმატებული მინისტრიაო. გახსოვთ, პრემიერმა ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე თქვა, რასმუსენის სტუმრობის დროს მერიის მაღალჩინოსნებს რომ დაადეს ბორკილები, იმათ დაკავება ჩვენ არ გვაწყობდაო. ე.ი. ივანიშვილმა იცის, რომ მოხდა ხალხის დაკავება, ხომ?! მოწმეზე ბორკილების დადება არის უკანონო დაკავება, 5-დან 8 წლამდე პატიმრობაში უნდა წასულიყო ყველა ის მაღალჩინოსანი, ვინც ეს განკარგულება გასცა და ვინც შესრულებაში მონაწილეობა მიიღო. ამ ორი ფაქტით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ივანიშვილის იგივე დამნაშავეა, რაც არის სააკაშვილი. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანის მკვლელობის ბრძანებას გასცემ, ან არ გასცემ და შემდეგ მკვლელებს დაიცავ, თუ მოხდა უკანონო დაკავება და დაიცავ. იქ არის დიდი სანქცია, აქ — პატარა. დამნაშავე, დამნაშავეა.

— ფიქრობთ, რომ პრემიერმა შეგნებულად დაფარა დანაშაული?

— ბიძინა ივანიშვილმა შეგნებულად დაუშვა, რომ მის სახელმწიფოში პოლიციელებმა და მაღალჩინოსნებმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინონ და მათ ის უნდა შერჩეთ. კარგი, ეს დანაშაული დაფარა. გამოდის და ექსპერტებთან შეხვედრაზე უსირცხვილოდ ამბობს, ფაქტები წარმოგვიდგინეთო. როცა ერთ-ერთი ფაქტი უკანონო დაკავების, თავად იცის. ის კაცი, რომელიც თავის თავს სახალხო დამცველს რომ ეძახის, გამოდის და ამბობს, მორალური წესები დაირღვაო.

— ფაქტია, საპარლამენტო უმრავლესობაში არაერთი საკმაოდ ცნობილი იურისტი და ადვოკატია. რატომ უჭირთ სამართლებრივი სივრცის კონტროლი და მაქსიმალურად კანონის ჩარჩოებში ჩაჯდომა?

— საქართველოს რეალურად ერთი ადამიანი მართავს. ერთ განცხადებას გაგახსენებთ. მე პარლამენტში შეტანილი მქონდა განცხადება, მოწმის დაკითხვა უნდა მომხდარიყო სასამართლოზე. ანუ მოწმეების პოლიციაში მიყვანა და დაკითხვა უნდა დასრულებულიყო, რადგან მათ იქ ზოგჯერ აწამებდნენ და აუპატიურებდნენ. სს საპროცესო კოდექსში ეს შეტანილ იქნა ამერიკის იურისტთა ასოციაციის და ევროკავშირის დიდი ძალისხმევით. სააკაშვილის რეჟიმმა ეს 2013 წლის დეკემბრამდე გადადო. ივლისში მამუკა მიქაუტაძე იყო სამი დღის მკვდარი, როცა ის პოლიციის განყოფილებიდან გამოვიდა და თავი მოიკლა. იქამდე ქიმერიძე მოკლეს 2012 წელში. მახსოვს, მაშინ ივანიშვილი ამბობდა, ხელისუფალს ეს არ უნდა შერჩესო. ხელისუფლებას უკან უნდა დავახევინოთო. შემდეგ მერაბიშვილმა პოლიციის უფროსი რომ მოხსნა, ივანიშვილი აკეთებს განცხადებას, ხელისუფლებამ უკან დაიხია, ქვეყანა ერთმა კაცმა არ უნდა მართოსო. მოვიდა ხელისუფლებაში ივანიშვილი, პოლიციიდან გამოდის ადამიანი და თავს იკლავს. რას აკეთებს პრემიერი, რატომ არის გაჩუმებული?! მით უმეტეს, უყურა, რომ ე.წ. მოწმე პოლიციაში ბორკილებდადებული შეიყვანეს. მოწმე კი არ იყო ის, დაკავებული პირი იყო, მაგრამ ასე გამოაცხადეს, რადგან ასე აწყობდა პროკურატურას. შემდეგ რა ხდება: 3 ივლისს პრემიერი აყენებს წინადადებას პარლამენტის წინაშე მოწმის დაკითხვა პოლიციის განყოფილებებში 1 წლით გავაგრძელოთო. ანუ მოწმე სასამართლოში არ უნდა დაიკითხოსო. მთელი სამოქალაქო საზოგადოება შოკში ვართ, ველოდებით ეს კანონი როდის ამოქმედდება და პრემიერი ასეთი წინადადებით შედის პარლამენტში. ერთი ამბავი ავტეხე, ევროპაში არ დარჩა პირველი პირი, არ მიმეწერა, გვიშველეთ-მეთქი. პირველად მოხდა საქართველოს ისტორიაში, რომ საქართველოს „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრის, შს მინისტრის და მთავარი პროკურორის ეს ბინძური ინიციატივა დავბლოკე. 1 იანვრიდან ნებისმიერი მოქალაქე მივა და ჩვენებას სასამართლოს მისცემს,

# გიორგი ლაღიძე: „საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება არის უთავმოყვარეო“

შორენა გონგლაძე

„ქვეყნის ღირსება უპირველესია“, „უარი ვთქვათ ოკუპანტებთან ერთად ოლიმპიადაში მონაწილეობაზე“ „დაიცავით ქვეყნის ინტერესები“ — ამ შინაარსის ტრანსფარანტებით პარტია „მომავალმა საქართველომ“ ოლიმპიური კომიტეტის წინ სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის გადაწყვეტილება გააპროტესტა. პარტიის ლიდერის, გიორგი ლაღიძის განცხადებით, ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება და უარი თქვას სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. მისივე თქმით, ეს არის ქვეყნის პრესტიჟი და ამგვარი პოლიტიკურად გაუთვლელი გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესებს აზიანებს.

— მიმაჩნია, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება არის უთავმოყვარეო და არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას მაშინ, როდესაც რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი და დღესაც გრძელდება მცოცავი ანექსია, ყოვლად მიუღებელია ჩვენი მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში. სწორედ რუსეთია ის სახელმწიფო, რომელმაც სოჭის ოლიმპიადა პოლიტიკურ რანგში აიყვანა მაშინ, როდესაც მეჩირაღდნედ ჰყავთ სამხედრო დამნაშავე, პირი, რომელიც აგვისტოს ომის დროს ბომბავდა მშვიდობიან მოსახლეობას. მე ვფიქრობ, რომ რუსეთი ცდილობს ქართველი ერის კიდევ ერთხელ დამცირებას. ვფიქრობ, რომ ამ თემაზე პოლემიკა არც კი უნდა გამართულიყო, ისე უნდა ეთქვა ხელისუფლებას უარი ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვენ ბევრად უფრო მნიშვნელოვან საკითხებს უნდა მივაპყროთ ყურადღება და ქართველი ხალხი უნდა იქნეს კონსოლიდირებული, რათა შევაჩეროთ ის მცოცავი ანექსია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ხორციელდება. ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან მიმართებაშიც საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, შეიძლება ითქვას, არის ძალიან სუსტი და ბუნდოვანი. ჩვენ განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, ყველა ჩვენს ხელთ არსებული ბერკეტები უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის დეოკუპაციისთვის. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, დაუყოვნებლივ გააუქმოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. — აცხადებს გიორგი ლაღიძე. მისივე თქმით, ეს ყველაფერი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე აუცილებლად აისახება.

— მე ვფიქრობ, თვალნათელია, რომ ოლიმპიური კომიტეტი ამ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობასთან და პირადად პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების გარეშე ვერ მიიღებდა. სწორედ ამის გამო, საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მე სამარცხვინოს ვუწოდებ. ხელისუფლებას ვურჩევ, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ასეთი დიდი ინტერესით გამოირჩევა, საზოგადოებაში უფრო გააზრებულად და მსჯელობის შედეგად იქნეს მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ხედავთ, რომ ახალი ხელისუფლების რეიტინგი და სანდოობის ხარისხი დღითიდღე იკლებს, ეს ყველაფერი კი უარყოფითად აისახება საპრეზიდენტო არჩევნებზეც. მართალია ჩვენი პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის უპირობო გამარჯვებაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ არჩევნები იმაზე მძიმე შედეგებს მოუტანს მმართველ ძალას, ვიდრე ამას ელოდება. — აცხადებს გიორგი ლაღიძე.

სოსო კორკელია, აქციის მონაწილე, იურისტი:

— ჩვენ ვაპროტესტებთ ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი და უკმაყოფი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ვაჟა ადამია პაატა ზაქარეიშვილისა და ლევან ყიფიანის გადადგომას ითხოვს

თამარ ნინიძე

**სასტუმრო „რედისონის" საკონფერენციო დარბაზში ოფიციალურად დაფუძნდა ახალი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენლებისა და ახლანდელი საპრეზიდენტო კანდიდატის ზურაბ ხარატიშვილის ხელმძღვანელობით მალე დაიწყებს ფუნქციონირებას. ახალი პოლიტიკური ცენტრი მკაფიოდ დასავლური ორიენტაციის მხარდამჭერია. მასში შედიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ევროპელი დემოკრატები, მოძრაობა „დაბრუნება".**



გუშინ ახალი პოლიტიკური ცენტრის დამფუძნებლებმა ორი რეზოლუცია მიიღეს. პირველი ეხებოდა ახალი პოლიტიკური ცენტრის დაფუძნებასა და საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდაჭერას, მეორე — ბოიკოტს სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით.

ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობა, როგორც კონფერენციაზე გამომსვლელებმა აღნიშნეს, გამოიწვია იმ აშკარა რუსულმა კურსმა, რომელსაც ადგას ახალი ხელისუფლება „ქართული ოცნების“ ლიდერობით. მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა ადამიამ კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას, როგორ უსწორდება ვლადიმერ პუტინი ურჩ მილიარდერებს, აბრამოვიჩს პირდაპირ მოსთხოვა ჩუკოტკაში ჩასვლა და იქ სოციალური დახმარებების გაწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გაუშვებდა საზღვარგარეთ, ხოლო ხოდორკოვსკიმ ეს ბრძანება რომ არ შეასრულა, ციხეში გამოკეტა. ვაჟა ადამია ვარაუდობს, რომ გარკვეული ვალდებულებები პუტინთან ივანიშვილსაც გააჩნია, ამიტომაც გაძლიერდა მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსული აგენტურა საქართველოში. ადამია უკმაყოფილოა იმით, რომ პოლიტიკოსი რომელიც პუტინის გვერდით იდგა „პაკლონნაია გორაზე,“ დღეს ქვეყნის სათავეში მოსასვლელად ემზადება. ადამია ბურჯანაძეს გულისხმობდა. ამასთანავე, ადამია აცხადებს, რომ მალე ივანიშვილი ხელს შეუწყობს პრორუსული პარლამენტის არჩევას საქართველოში, რომელიც ერთ წელიწადში საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას დაუჭერს მხარს. მერაბ კოსტავას საზოგადოების ლიდერის განცხადებით, ივანიშვილის მთავრობა საქართველოს კონფედერაციული მოწყობისთვის შესაბამის პირობებს ამზადებს.

— ქართველები ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერის კიდევ ერთ მამას მერაბ კოსტავას არ ვაფასებდით იმიტომ, რომ ჩვენი თანამედროვე იყო, ის არის უდიდესი ადამიანი და ეროვნული გმირი, ქართველებს არ უნდა დაგვავიწყდეს 9 აპრილი. მოგიწოდებთ, ერთად ვიბრძოლოთ საქართველოდან ოკუპანტი რუსების საბოლოოდ გასაძევებლად, თუ ერთად ვიქნებით, ჩვენ ამას შევძლებთ, — განაცხადა ვაჟა ადამიამ.

ვაჟა ადამიამ მოითხოვა ორი მინისტრის რეინტეგრაციის თუ, მისი თქმით, დეზინტეგრაციის მინისტრ პაატა ზაქარეიშვილისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანის გადაყენება. მისი თქმით, დავით ყიფიანთან ერთად ერთ ეზოში იზრდებოდა და მისი მეგობარი იყო, ლევან ყიფიანის პოზიცია კი მისთვის მიუღებელია.

მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე მალხაზ პატარაიას თქმით, ქართველმა ხალხმა მძიმე შეცდომა დაუშვა, როცა 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ მოიყვანა ხელისუფლებაში. ივანიშვილის მთავრობა აშკარად ვერ შემოიყვანს რუსულ არმიას საქართველოში, იმიტომ რომ დღეს სხვა ვითარებაა, პუტინის მტაცებლური ბუნებიდან გამომდინარე, ის რუსეთში მოღვაწე მილიონერებს აკონტროლებს და საიდუმლო არ არის, რომ ივანიშვილი პუტინის გარეშე ამ მილიონებს ვერ იშოვიდა. ივანიშვილი, მისი თქმით, არსად წავა ხელისუფლებიდან, იმიტომ რომ პუტინის ყმაა. მალხაზ დავითაია აღშფოთებულია იმით, რომ საქართველო გაივსო რუსეთის აგენტურით. დავითაია აცხადებს, რომ ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნა უნდა დაჩქარდეს, მეტიც, საკმაოდ დაგვიანებულია, ასევე მოითხოვა, რომ ცენტრმა ითანამშრომლოს საპარლამენტო უმცირესობასთან, რომელიც ერთადერთი სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ძალაა.

— ბურჯანაძემ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოებში ბუნაგი შეუქმნა რუსულ ძალებს და ყოლბაიას მეშვეობით აკონტროლებს აფხაზეთის მთავრობას, ახლახან მოვისმინე შავრაზმულ ტელევიზია „ობიექტივში“ გია გვაზავას საუბარი, რომელიც ამბობს, რომ აფხაზებს უნდა შევუქმნათ ჯარი, ვალუტა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისთვის ყველა სხვა ნიშანი. ასევე გია გვაზავას აზრით, საქართველოს ფედერაცია უნდა შეიქმნას. ეს ყოვლად დაუშვებელია. სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ ასევე იმიტომაც, რომ ტარდება ჩერქეზების გენოციდის ადგილზე, „კრასნაია პოლიანაზე, — მიაჩნია მალხაზ პატარიას.

# პაატა დავითაია: „რუსული მავთულხლართები ნავთობსადენს უახლოვდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,“ „ევროპელი დემოკრატები“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, პრეზიდენტობის კანდიდატები ზურაბ ხარატიშვილი და „სამართლიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახაძე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის დეპუტატები, მოძრაობა „დაბრუნების“ თავმჯდომარე მალხაზ პატარაია, საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ენგურს გაღმა ჩვენი სამშობლოა“, სტუდენტური ორგანიზაცია „გრაალი“ თვეების განმავლობაში, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აწარმოებდნენ, როგორც თავად აცხადებენ, მოლაპარაკებებს ქვეყანაში ორ პოლუსად გაყოფილი პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები იდეით გამოდიან, რომ ახლი პოლიტიკური ცენტრი შექმნან.

ახალი პოლიტიკური ცენტრის ქმედებაუნარიანობისა და მისი გრძელვადიანი საქმიანობისთვის ცენტრის შექმნის ინიციატორებს აუცილებლად მიაჩნიათ პროგრამული და იდეური პრინციპების მაქსიმალური შეჯამება, რის შემდეგადაც საბოლოოდ მოხდება ახალი ზეპარტიული მოძრაობის ჩამოყალიბება პირობითი სახელწოდებით — დასავლური არჩევანი.

აღნიშნული იდეის ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ცალსახად თანხმდებიან, რომ მთავარ საგარეო საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი და საქართველომ საბოლოოდ უნდა აქციოს ზურგი პოსტსაბჭოურ თუ პრორუსულ წარმონაქმნებში გაერთიანებას.

პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ საქართველოს ერთადერთი არჩევანი ევროკავშირი და ნატოა.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების აუცილებლობის შესახებ. მოძრაობა „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის თქმით, რეინტეგრაციისა და სპორტის მინისტრებმა საზოგადოების წინაშე ბოდიში უნდა მოიხადონ.

— ჩემთვის მიუღებელია, როცა რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრი ტუალეტის ოკუპაციას ადარებს ქვეყნის ოკუპაციას და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ამბობს, რომ რუსეთს არაფერი დაუშავებია და ოლიმპიადისა და ფეხბურთის ჩემპიონატის ჩატარების უფლება აქვს. მათ თუ დაავიწყდათ, მე არ დამვიწყებია, რომ ოლიმპიადა საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება. მათთვის ეს პოლიტიკაა, ჩემთვის კი — ცხოვრების ნაწილი. მათ წამართვეს მე ჩემი სახლი, დამიხვრიტეს ოჯახის წევრები და ეს „არაფერი“ რუსეთმა ჩაიდინა. მე ვაყენებ საკითხს, რომ მინისტრებმა დატოვონ თანამდებობა ან საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადონ, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

ედპ-ის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავას თქმით კი ოლიმპიადაში საქართველომ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

— საზოგადოების დიდი ნაწილი ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებს. ახალ მთავრობას როგორც სჩვევია, როცა პასუხი არ აქვს, გაყურსულია. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც შენიღბული რუსული განცხადებებით გამოირჩევიან და პრაგმატიზმით გვიხსნიან, რომ ღირსებაზე უარი ვთქვათ და რომ ყველაფერი უნდა მოვითმინოთ. ადამიანი, რომელიც 2008 წელს საქართველოს ბომბავდა, თურმე არა უშავს, რომ ოლიმპიადაზე ერთ-ერთი მეჩირალდნე იქნება, — განაცხადა ქარდავამ.

პაატა დავითაია ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიების მონიტორინგის ორგანიზაციის შექმნის ინიციატივითაც გამოდის. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონფერენციაზე აღნიშნული იდეით გამოვიდა.

მისი თქმით, ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც ყოველდღე ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებს გააკონტროლებს.

— უნდა შეიქმნას ტერიტორიული მონიტორინგის ზეპარტიული ორგანიზაცია. უნდა დავიწყოთ ჩვენი ტერიტორიების გაკონტროლება. თუ საჭირო გახდება, უნდა წავიდეთ და კარვებიც კი უნდა დავდგათ, ასევე, უნდა ვაიძულოთ მთავრობა, რომ იმ ტერიტორიაზე მოხდეს პატრულირება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და თავდაცვის სამინისტრომ უნდა აკონტროლოს და, თუ საჭირო გახდა, ბლოკპოსტებიც უნდა გახსნან, — განაცხადა დავითაიამ.

მისივე თქმით, თუ მცოცავი ოკუპაცია გაგრძელდა, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდება.



— ბაქო-სუფსის ნავთობსადენამდე 1200 მეტრია დარჩენილი, რომ ის აღმოჩნდეს ე.წ. სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე. დღეს ამაზე არავინ საუბრობს, თუმცა ეს საფრთხე რეალურია და რეაგირებას საჭიროებს, — განაცხადა დავითაიამ.

პრეზიდენტობის კანდიდატი ზურაბ ხარატიშვილი სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებს.

— არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში, რადგან ის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმართება, რომელიც საქართველომ საბჭოთა ანექსიის შემდეგ დაკარგა. ევრაზიის კავშირი ანალოგიურად დაგვაკარგვინებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, ამიტომ ამ პროცესში მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. ოლიმპიადაში მონაწილეობა იქნება ევრაზიული კავშირისკენ გადადგმული ნაბიჯი. რუსეთი, როგორც ყოველთვის, ამ ოლიმპიურ თამაშებს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს, რათა საქართველო დაამციროს, — განაცხადა ხარატიშვილმა.

ხარატიშვილი აცხადებს, რომ რეზოლუციის ხელმოწერის მთავარი მიზანი ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებაა. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, რეზოლუციას ხელი მოაწერა ყველა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომლებიც ევრაზიულ კავშირში შესვლას ეწინააღმდეგებიან.

— დღეს რეზოლუცია გაფორმდა იმ პოლიტიკურ ძალთა შორის, რომლებიც თვლიან, რომ დღეს საქართველო საგარეო პოლიტიკის კუთხით დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ხელისუფლების უნიათო პოლიტიკას ოკუპირებული ტერიტორიების ლეგალიზაციისა და ევრაზიული კავშირისკენ მივყავართ, ამიტომ დღეს შევიკრიბეთ პოლიტიკური ძალები, რათა ეს პროცესი შევაჩეროთ და მოვახდინოთ ყველა იმ ძალთა კონსოლიდაცია, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ევროინტეგრაცია მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ შეხვედრით ვიწყებთ პროცესს, რომელსაც ახალი პოლიტიკური ცენტრის გარშემო ეროვნულ ძალთა დიდი კონსოლიდაცია ჰქვია, — განაცხადა ხარატიშვილმა.

გურამ ჩახვაძე, „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:

— საქართველომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მთავარი არგუმენტი, თუ რატომაც არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, არის ის, რომ რუსეთის ფედერაციას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ძალიან ცინიკურია, როდესაც თითქოს არაფერი არ ხდება და ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მივიღოთ, მაშინ როდესაც ოლიმპიადა მშვიდობის, ჰუმანურობის, ადამიანურობის სიმბოლოა. ამდენად ჩვენთვის მიუღებელია, საქართველომ, როგორც სახელმწიფომ მონაწილეობა მიიღოს და იმ მეჩირაღდნის გვერდით აღმოჩნდეს, რომელმაც 2008 წელს აგვისტოს ომში ჩვენი ქალაქები და სოფლები დაბომბა. ამ ფონზე ჩვენთვის მიუღებელია ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების პოზიცია. ჩვენ ასევე უკვე შეუერთდით იმ პეტიციას, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააჟღერეს. ყოველდღიურად მატულობს ხელმოწერები და ეს ძალიან მიხარია. ეს ხელმომწერი ადამიანები არ ვართ ამ პეტიციას შეერთებული, როგორც პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ექიმები ანუ პროფესიის მიხედვით, ჩვენ ხელს ვაწერთ, როგორც საქართველოს მოქალაქეები. ასევე პოლიტიკურმა პარტიებმა მივიღეთ ერთობლივი რეზოლუცია, სადაც ჩვენი ბოიკოტი დაფიქსირებულია.

— რა არის ამ ერთობის ამოცანა და ვინ იქნებიან გაერთიანებაში წარმოდგენილნი?

— ეს ერთობა არჩევნებისთვის არ უნდა იყოს შექმნილი. ერთი პოლიტიკური იდეის ირგვლივ ვახდენთ გაერთიანებას, მემარჯვენე, ცენტრისტული პოლიტიკური ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოვდივართ.

— თუ ასეთი ერთობა შეიქმნა, შეიძლება, ერთ პარტიად გადაიქცეს?

— ვეჭვობ, მაგრამ შეიძლება, გარკვეულ კოალიციად ჩამოყალიბდეს, თუმცა ეს მომავალ პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული.

# გიორგი ლაღიძე: „საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება არის უთავმოყვარეო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლება გამოიწვია საზოგადოებაში. ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ბევრი ქართველი სპორტსმენი, რაც პირადად მე გამართლებულად მიმაჩნია. ყოველი გადაწყვეტილება, რასაც მთავრობა მიიღებს, უნდა იყოს ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. ხელისუფლებას რატომღაც ბევრი რამე ავიწყდება, ავიწყდება აგვისტოს ომი, ავიწყდება ის, რომ ქვეყნის ტერიტორიის ოცი პროცენტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და დღემდე მიმდინარეობს მცოცავი ანექსია. სხვათა შორის, საკმაოდ გაოცებული ვარ და მაეჭვებს ჩვენი ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხებთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში ამას რუსეთი ვერ გაბედავდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან სერიოზულ დარტყმას მიიღებდა ყველა საერთაშორისო ბერკეტით. დღეს ძალიან მაკვირვებს ახალი ხელისუფლების უმოქმედობა. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ყველა შესაძლო ბერკეტი გამოიყენოს მცოცავი ანექსიის შესაჩერებლად, ხელისუფლება ამ ყველაფერს მდუმარედ ხვდება. უკვე ძნელია განსაზღვრო ხელისუფლების სამომავლო გეგმები და შესაძლო ნაბიჯები ამ უკანონობის შესაჩერებლად. სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ ხელისუფლების ვერანაირ მცდელობას, რომ ეს უმსგავსობა იქნეს აღკვეთილი.

# ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის 50 სამხედრო მოსამსახურე საქართველოში დაბრუნდა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მათ ავღანეთში 6 თვის განმავლობაში აისაფის მისიის ფარგლებში წარმატებით შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა.

ეს გეგმიური როტაციის მეორე ეტაპია, რომელიც თვის ბოლომდე დასრულდება. 42-ე ბატალიონი ავღანეთში ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროებმა ჩაანაცვლეს. სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია და მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი ზაზა ლელაძე დახვდნენ.

ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ. მათ მთავარ ამოცანას პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა წარმოადგენდა.

**ნიუსპრესი**

# რას საქმიანობენ მაჟორიტარები



შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში უკვე კარგა ხანია ითხოვენ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. ეს სისტემა მართლაც კარგა ხანია გასაუქმებელია, თუმცა რატომღაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეელია ამ გადმონაშთს.**

იმისათვის, რომ მაჟორიტარის სტატუსი მიიღონ, ეს ადამიანები ყველაფერზე მიდიან. არჩევნების წინ ლამისაა ხალხს სახლებში შეუცვივდნენ და სახლები დაულაგონ. დეპუტატის მანდატის განაღდების შემდეგ კი აღარც ხალხი ახსოვთ და აღარც ცრემლიანი თვალებით წარმოთქმული დაპირებები.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ დაასახელებთ მაჟორიტარს, რომელიც პარლამენტში თავისი რაიონის პრობლემებზე გააკეთებს განცხადება. შვეიცარიის მსგავსი ქვეყანა რომ ვიყოთ, კიდევ იტყოდა კაცი, რეგიონებს არაფერი უჭირსო.

მარტო მდუმარედ რომ ისხდნენ, რა უჭირდა ქვეყანას. რაიონებში ისინი პატარა ფეოდალებად იქცნენ. ამის შესახებ ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმაც დაიჩივლა. როგორც ამბობენ, ფეოდალობის გამო რამდენიმე მათგანი მიჭირხნა კიდევაც, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. მაჟორიტარები კვლავ ფეოდალობენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაჟორიტარების საქმიანობის შესახებ დასკვნას აქვეყნებს. დოკუმენტში მითითებულია, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროებს რაიმე სახის კვლევა მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენის მიზნით არ ჩაუტარებიათ, მხოლოდ მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი წერილობითი განცხადებების შინაარსიდან ასკვნიან, რომ ძირითადი პრობლემები სოციალური, ჯანდაცვის საკითხები და დასაქმების დაბალი დონეა. დოკუმენტის მომზადების დროს სენაკის, ხობის, ჩხოროწყუსა და ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წერილობით კითხვებზე პასუხები ვადის მნიშვნელოვანი დარღვევით გასცეს. არსებული რეგულაციის თანახმად, თითოეულ ბიუროს ყოველთვიურად გამოეყოფა 5000 ლარი, საიდანაც პარლამენტის აპარატი მაჟორიტარი პარლამენტის წევრის წარდგინებით ახორციელებს. არასამთავრობო ორგანიზაცია დეპუტატების მიერ გამართული შეხვედრების სტატისტიკასაც აქვეყნებს, რომელსაც „ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ:

აბაშა: დავით დარცმელიძე

აბაშის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დახმარებისათვის ზეპირი და წერილობითი განცხადებით 234 ადამიანმა მიმართა, ძირითადად სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე. ბიუროს განცხადებით, მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით დარცმელიძემ მოსახლეობასთან მოაწყო რამდენიმე შეხვედრა გასხვისებული მიწების საკითხებთან დაკავშირებით. აბაშის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს რაიმე სახის კვლევა მუნიციპალიტეტში ადგილობრივი საჭიროებების გამოსავლენად არ ჩაუტარებია, გამომდინარე იქიდან, რომ ისედაც ნათლად ჩანს მოსახლეობაში არსებული პრობლემები, — აღნიშნულია ბიუროს მიერ გამოგზავნილ წერილში.

სენაკი: გურამ მისაბიშვილი

სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სოციალური, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების თხოვნით, წერილობით 197 მოქალაქემ მიმართა. ბიუროს ცნობით, სენაკის მაჟორიტარმა გურამ მისაბიშვილმა 44 შეხვედრა ჩაატარა მოსახლეობასთან. ამათგან მხოლოდ 25 შეხვედრა იყო საჯარო. მიღებული წერილით ვერ დგინდება, ატარებს თუ არა ბიურო რაიმე სახის კვლევას მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად.

მესტია: ვიქტორ ჯაფარიძე

მესტიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მიღებული აქვს 20 წერილობითი და 23 ზეპირი მომართვა. მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ 10-მდე შეხვედრა მოაწყო ადგილობრივ მოსახლეობასთან. ბიუროს ცნობით, იგი აქტიურად მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან თანხების გამოყოფას შემდეგი პროექტების განსახორციელებლად: სკოლების რეაბილიტაცია; სოფლების წყალმომარაგება, წყალდიდობის წინააღმდეგ გაბიონებისა და წყალდამცავი ნაგებობების მშენებლობა; მესტია-უშგულის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. ბიუროს ცნობით, მესტია-უშგულის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისათვის უკვე გამოყოფილია 17 მილიონი ლარი. 2013 ივლისის მდგომარეობით, მესტიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს კვლევა მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად არ ჰქონდა ჩატარებული.

წალენჯიხა: ლევან ქარდავა

წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წერილობითი განცხადებით მიმართა 47-მა მოქალაქემ ჯანდაცვის, დასაქმების, სოციალური, მიწისძვრით ან/და ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მოთხოვნით. მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან ქარდავამ შეხვედრები გამართა სოფლების: ეწერის, ფახულანის, მუჭავას, ჭალესა და ზღვაიას დასახლების მცხოვრებლებთან. მიღებული წერილით ვერ დგინდება ატარებს თუ არა ბიურო რაიმე სახის კვლევას მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად. წალენჯიხაში ადგილობრივი ტელევიზიით პერიოდულად გადის გადაცემა „დეპუტატის საათი", სადაც მოქალაქეებს აქვთ საშუალება, პირდაპირ ეთერში მიმართონ კითხვით მაჟორიტარ დეპუტატს.

ბიუროს ცნობით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოსათვის მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე გაგზავნილ შუამდგომლობებზე ან დაგვიანებით, ან საერთოდ არ ხდება რაიმე სახის პასუხის გაცემა.

ხობი: გოდერძი ბუკია

ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს 65 მოქალაქემ მიმართა. მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ მოაწყო 27 საჯარო შეხვედრა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის მიზნით. ამავე შეხვედრებზე ბიუროს თანამშრომელთა მიერ „ზეპირად იქნა მოკვლეული" მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები, რომელთაგან ყველაზე მწვავედ უმუშევრობის პრობლემა იქნა მიჩნეული. გოდერძი ბუკია ლობირებს ხობი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი გზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ამ ეტაპზე დასრულების სტადიაშია.

მარტვილი: ნაული ჯანაშია

მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წერილობით — 50 ადამიანმა, სიტყვიერი განცხადებით კი 472 პირმა მიმართა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ მოგვაწოდა ინფორმაცია ბიუროს თანამშრომელთა საქმიანობის აღწერილობის შესახებ. კითხვაზე, ატარებს თუ არა ბიურო რაიმე სახის კვლევებს მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად, მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს არ გაუცია.

ჩხოროწყუ: ვახტანგ ლემონჯავა

ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს 42 მოქალაქემ მიმართა განცხადებით. როგორც ბიუროს წერილიდან ირკვევა, მოქალაქეებთან შეხვედრისას მაჟორიტარი დეპუტატი ვახტანგ ლემონჯავა მათ სოციალურ პრობლემებს განიხილავს, ასევე პერიოდულად მიმართავს შუამდგომლობით სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ საკოორდინაციო ცენტრს, რათა ხელახლა იქნეს გადამოწმებული ამა თუ იმ ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. კითხვაზე, ატარებს თუ არა ბიურო რაიმე სახის კვლევას მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად, ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს პასუხი არ გაუცია. ბიუროს ცნობით, ვახტანგ ლემონჯავა მუშაობს „ეკომიგრანტების კანონპროექტზე".

ფოთი: ეკა ბესელია

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ ფუნქციონირება 2012 წლის 29 ნოემბერს დაიწყო. ბიუროს ზეპირად — 3000-მდე, წერილობით კი 1011 მოქალაქემ მიმართა. განცხადებების შინაარსის შესწავლით სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: ჯანდაცვა, სოციალური და სამართლებრივი დაცვის საკითხები. სწორედ ეს საკითხები იყო მიმოხილული მაჟორიტარი დეპუტატის ეკა ბესელიას მიერ 2012 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე გამართულ 25 საჯარო შეხვედრაზე. ეკა ბესელიას მიერ საქართველოს პარლამენტში რამდენიმე კანონპროექტი იქნა ინიცირებული.

მიუხედავად ჩვენი წერილობითი მოთხოვნისა, არც ერთ ბიუროს არ გამოუგზავნია მაჟორიტარი დეპუტატის ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმები.

მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ განსხვავებულია როგორც მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროების თანამშრომელთა რაოდენობა, ასევე მათი ხელფასები.

არასამთავრობო ორგანიზაცია სხვა რეგიონში მოღვაწე მაჟორიტარებზეც აპირებენ ინფორმაციის გამოქვეყნებას. ვითარება იქაც იგივე იქნება.

# სოსო ვახტანგიშვილი: „მცოცავი ოკუპაციის შედეგად 55 ჰექტარი მიწა მავთულხლართებში მოექცა"

## გორის მაჟორიტარი პრეზიდენტს სიცრუეში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

შიდა ქართლში ცუდი ამბები ხდება. რუსი სამხედროები კონფლიქტის ზონისპირა ქართულ სოფლებში მცოცავ ანექსიას ახორციელებენ. საოცნებო ხელისუფლება ამ მოძრაობას სოჭის ოლიმპიადას უკავშირებს, მავთულხლართებს კი გაგებით ეკიდება. სამაგიეროდ, ღელავს და ბრდღვინავს ნაცმოძი. ისე აღელვება მათ ცოტა დააგვიანდათ. რუსებმა შიდა ქართლში მცოცავი ანექსია აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყეს, საქართველოს სხვა კუთხეებში კი 20 წელია მოცოცავენ, რაზეც სააკაშვილის ხელისუფლებას რატომღაც ხმა არ ამოუღია.



შარშანდელი არჩევნები სხვა შედეგით რომ დასრულებულიყო, ალბათ, ვერც გავიგებდით რუსების ქმედებების შესახებ. ახლა კი სხვა დროა და ნაცმოძი გმინავს. საქართველოს პრეზიდენტის მტკიცებით, რუსებმა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ უფრო მეტი მიწა მიიტაცეს, ვიდრე ეს აგვისტოს ომის დროს მოხდა.

— ბოლო კვირებში, თვეებში, საქართველოს ტერიტორიაზე რუსებმა გადმოინაცვლეს და 400 ჰექტარზე მეტი ჩვენი მიწა კიდევ მიითვისეს. რაღაც კომისიასავით გავაკეთეთ და დავთვალეთ. 400 ჰექტარი მიწა რომ წარმოიდგინოთ და 400 ჰექტარზე რომ ვაშლის ბაღი გააშენო, ვაშლზე საქართველოს მთელ მოთხოვნილებას გადაფარავს. ე.ი. ჩვენ საქართველოს სამყოფი ვაშლის ბაღი ისე წაგვართვეს, რომ ამის შესახებ თითქმის არავის გაუგია. ეს არის პირდაპირი პასუხი იმაზე, რასაც ჩვენ არაერთხელ ვამბობდით, რომ რაც უფრო მეტს დაუწვები, მით უფრო მეტად აგაცოცდება, მით უფრო მეტად გადაგივლის, მით უფრო მეტად ადვილად გადაგივლის. დაწოლითა და ჩექმების კოცნით საქმე რომ კეთდებოდეს მაგ სახელმწიფოსთან, აქამდე მთელი მსოფლიო დაუწვებოდა და გაკრიალებული ჩექმებით ივლიდა, მაგრამ არ გამოდის ასე. გამოდის მხოლოდ პრინციპული მიდგომით. გუშინ ივანიშვილმა თქვა, რომ საქართველოს არავითარი რეგიონული ამბიციები არ უნდა ჰქონდესო. პრემიერმინისტრმა რამდენიმე დღის წინ ლატვიელ გამოცემას უთხრა, საქართველომ ომი დაიწყოო. თუ ომი საქართველოს ბრალი იყო, თუ რეგიონული ამბიციები არ უნდა გვქონდეს, მაშინ ვინ მოვა დასახმარებლად. ევროპულ გამოცემებს დღე და ღამე ზუსტად იმას უყვება, რასაც პუტინები და მედვედევები უყვებოდნენ, — განაცხადა რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილმა.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსებმა მავთულხლართების გავლება გორის რაიონის სოფელ აძვშიც დაიწყეს. ამასთან დაკავშირებით განცხადება შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ ჩხეიძემ გააკეთა.

— რუსები აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიის მოპარვას, სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ ამას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 400 ჰექტარი მიწის ფართობი იქნა მითვისებული რუსების მხრიდან, მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონიდან. დღევანდელი ფაქტიც არის 4 ჰექტარი მიწა, რომელიც ერთი თვის წინ შემოღობეს რუსებმა და ჩემთვის მხოლოდ გუშინ საღამოს გახდა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ამის შესახებ ინფორმირებული იყო, ეს ინფორმაცია დღემდე არ იყო საჯარო. მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, სასწრაფოდ დაეხმაროს ამ ადამიანს, რომ გამოინახოს ალტერნატიული ფართი, რათა მოხდეს ამ ადამიანის მიწით უზრუნველყოფა, რომლის ერთადერთი შემოსავლის წყარო სწორედ ეს მიწაა, — აღნიშნა ჩხეიძემ.

ჩხეიძისა და სააკაშვილის გმინვაბრალდებებს გუშინ გორის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ვახტანგიშვილი გამოეხმაურა. მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნისა და ფრონეს ხეობებში, ახალგორში — აქ ყველგან, საერთო ჯამში, 148 650 ჰექტარი მიწა დაიკარგა.

გორის მაჟორიტარი დეპუტატი ტყუილს უწოდებს მიხეილ სააკაშვილის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ აგვისტოს ომამდე გაცილებით ნაკლები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიითვისეს ოკუპანტებმა, ვიდრე იმ მცოცავი ოკუპაციის შედეგად, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში ხდება.

— შიდა ქართლის რწმუნებულმა ზურაბ ჩხეიძემ განაცხადა, რომ მავთულხლართების გაბმის შედეგად 400 ჰექტარი მიწაა მითვისებული, რეალურად კი, ჯამში, ამ პროცესის შემდეგ ოკუპანტებმა 55 ჰექტარი მიწის ფართობი მოაქციეს მავთულხლართებში. მე საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში გუშინ და გუშინწინ ვიმყოფებოდი და მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში აბსოლუტურად ყველა მიმართულებით საოკუპაციო ხაზის მავთულხლართებით აღჭურვა შეჩერებულია. შეიძლება, არ გაგვემახვილებინა ჩხეიძისა და პრეზიდენტის განცხადებებზე ყურადღება, მაგრამ, რადგან ამის შესახებ პრეზიდენტმა გუშინ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ტოივო კლაარისთან ისაუბრა, იძულებული გავხდით, ეს ინფორმაცია მოგვეწოდებინა, — განაცხადა მაჟორიტარმა დეპუტატმა.

გუშინვე სოსო ვახტანგაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ანდრო ბარნოვსაც გამოეხმაურა. დეპუტატმა ისიც სიცრუეში დაადანაშაულა.

— ბარნოვის განცხადება თითქოს ყურადღებას არ იჩენს მოსახლეობისადმი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, ტყუილია. ყველა შესასვლელ-გასასვლელი კონტროლდება შსს-ს ორგანოების მიერ. ასევე, ადგილზე იმყოფებიან რწმუნებულები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. მთავარი, რის გამოც ეს ტყუილები ვრცელდება, არის წინასაარჩევნო კამპანია, როცა ამ თემებით მანიპულირება ხდება, — აღნიშნა დეპუტატმა ვახტანგაშვილმა.

შიდა ქართლში მართლაც რთული ვითარებაა და ურიგო არ იქნება, თუ ხელისუფლება სათანადო ყურადღებას გამოიჩენს. რაც შეეხება ნაციონალების თავგანწირვას, საინტერესოა, აქამდე რატომ დუმდნენ და არ აპროტესტებდნენ მცოცავ ანექსიას. ადგილობრივები ამბობენ, რომ რუსებმა ქართული მიწის მოპარვა 2009 წლიდან დაიწყეს.

# კობა დავითაშვილი საგანგებო განცხადებას გააკეთებს

პრეზიდენტობის კანდიდატი კობა დავითაშვილი „ხალხის პარტიის" ცენტრალურ ოფისში, დღეს ბრიფინგს გამართავს. დავითაშვილი ბრიფინგზე 17-18 ოქტომბერს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დაგეგმილ დებატების ფორმატთან დაკავშირებით გააკეთებს განცხადებას.




კობა დავითაშვილი ყველა პრეზიდენტობის კანდიდატს მოუწოდებს თანაბარ პირობებში დებატების გამართვა მოითხოვონ და სურვილს გამოთქვამს, თითოეულ კანდიდატს სახელისუფლებო კანდიდატთან — გიორგი მარგველაშვილთან დებატების გამართვის შესაძლებლობა მიეცეს.

**ნიუსპრესი**

გულიკო ბალაძე

# გიორგი თევზაძე: „ხუდონჰესის აშენება ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს“

## ინტერვიუ ადამიანის უფლებათა დამცველ გიორგი თევზაძესთან

***— ბატონო გიორგი, როგორც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება სოფელ დიცსა და დვანში მიმდინარე საოკუპაციო პროცესებთან დაკავშირებით. როგორია თქვენი პოზიცია?***

— აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელოს თანმიმდევრული და პრინციპული პოლიტიკა რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის მიმართ. რუსეთის მხრიდან მცოცავი ოკუპაცია და ქართული მიწების ანექსია გრძელდება. რუსი ოკუპანტები ყოველდღიურად აფართოებენ საოკუპაციო ზოლს, საქართველოს ხელისუფლება კი, პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტის სანაცვლოდ, ურთიერთბრალდების პოლიტიკითაა დაკავებული. რუსეთის პროვოკაციებისა და რუსეთის მიზანმიმართული ანექსიის შესაჩერებლად აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოების ყველა სამართლებრივი და პოლიტიკური ბერკეტი გამოიყენოს და რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ზოლის გაფართოების პროცესის შეჩერება მოითხოვოს. ასევე აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ არაადამიანური ფუნდამენტური უფლებების ხელყოფის ფაქტების შეწყვეტა. საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველოს სწორმა და თანმიმდევრულმა პოლიტიკამ იძულებული უნდა გახადოს რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება, მოხსნას სამარცხვინო მავთულხლართები და შეწყვიტოს საქართველოს მოსახლეობის ფუნდამენტური, მათ შორის, საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტები.

***— საქართველოს ხელისუფლება დიპლომატიურ ბერკეტებს იყენებს რუსების შესაჩერებლად. ამ ეტაპზე სხვა რა შეიძლება გააკეთოს ხელისუფლებამ?***

— შექმნილი ვითარების ფონზე, გაოცებას იწვევს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს სოჭის ოლიმპიადაში, რაც, რბილად რომ ითქვას, ღიმილის მომგვრელია და ასუსტებს საერთაშორისო ასპარეზზე დეოკუპაციის პროცესს. მით უფრო, რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით არ შესუსტებულა. აგრესიული პოლიტიკა დღემდე გრძელდება და ვლინდება რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ზოლის გაფართოებით, ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით საკუთარი საცხოვრებლიდან აყრითა და საკუთრების წართმევით, უკანონო გამოგონილი ბრალდებით, დაკავებებით, პროვოკაციული და ცილისმწამებლური განცხადებებით საქართველოს მიმართ, რაც მიზნად საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს.



***— მთავრობის განცხადება იყო, რომ შეიძლება, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი გადაიხედოს.***

— საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო ბერკეტი რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად და დაიცვას საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები, აწარმოოს თანმიმდევრული პრინციპული პოლიტიკა რუსეთთან. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაში „თქვენი უფლებებისათვის“ შემავალმა ორგანიზაციებმა გავავრცელეთ ერთობლივი პოზიცია, რომლითაც საზოგადოებასა და პოლიტიკურ ჯგუფებს მოვუწოდეთ, გამოცხადდეს მორატორიუმი, რათა ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ, მათ შორის, სოფლებში დვანსა და დიცში ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტები და სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა, არ იქნეს განხილული ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენებად. რადგან ეს, პირველ რიგში, სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება. ამასთანავე, ამ პრობლემური რეგიონებისთვის სათანადო ყურადღების გამოვლენა, ხელისუფლების წარმომადგენლების პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. ამდენად, კოალიციის წევრი ორგანიზაციები უერთდებიან არასამთავრობო სექტორის ამ მნიშვნელოვან ინიციატივას მორატორიუმის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რუსი ოკუპანტების უკანონო ქმედებების შედეგად მრავალგზის ხელყოფილი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის სათანადო მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა. კოალიციამ პოლიტიკურ ჯგუფებს ასევე მოუწოდა, ეს ვითარება არ გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისათვის. აქვე საგანგებოდ გვსურს აღვნიშნოთ ერთი ცინიკური გარემოება — როგორც გავრცელებული ინფორმაციით დასტურდება, სოჭის ოლიმპიური ცეცხლის მიტანაში მონაწილეობს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიისას რუსეთის „გმირი“ მფრინავი ივან ნიჩაევი. დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის მხრიდან ეს შემთხვევით არ ხდება და მიზანმიმართული რუსული პოლიტიკის ნაწილია. ამას ცინიკური ქვეტექსტი აქვს, რომელშიც საქართველოს პოზიცია, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ რუსულ პოლიტიკაზე თანხმობად აღიქმება. ეს დამოკიდებულება, სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად შეასუსტებს ქვეყნის დეოკუპაციის პროცესს და ამ პროცესში საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჩართულობას.

***— უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწების შესყიდვებზე დადგენილი მორატორიუმის ვადაზე ადრე გაუქმებას როგორ უყურებთ?***

— როგორც ითქვა, უცხოელებზე მიწების გასხვისების შესახებ მორატორიუმი 31 დეკემბრის შემდეგ აღარ გაგრძელდება. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პარლამენტმა კანონად აქცია და იგი ქართული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბოლოდროინდელი მასობრივი გაყიდვის წინააღმდეგ იყო მიმართული. პარლამენტმა საგაზაფხულო სესიაზე მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ ფირმებს შეუჩერდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება. ეს უფლება მათ შეუჩერდათ 2014 წლის 31 დეკემბრამდე. კანონი მიიღო პარლამენტმა და მისი შეცვლა მხოლოდ პარლამენტს შეუძლია ანუ მისი პრეროგატივაა გადაწყვეტილების მიღება და მორატორიუმის გაუქმება. მიწის ბაზრის შესაბამისი დარეგულირებისა და საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული წესით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან ამას შეუქცევადი უარყოფითი პროცესები მოჰყვება. აღნიშნულზე კი მთელი პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიმღებ ხელისუფლებას დაეკისრება.

***— ბატონო გიორგი, რა მექანიზმების შექმნას მიიჩნევთ შესაძლებლად, სადაც პენიტენციურ სისტემაში ჩართული იქნებიან პრაქტიკოსი უფლებადამცველები?***

— ჩვენ მივმართეთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარს საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ინიციატივით, რომელიც იფუნქციონირებს მინისტრთან და დაკომპლექტებული იქნება ამ სფეროში გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოქმედ უფლებადამცველებთან. ამ ინიციატივის საფუძველს წარმოადგენს ის ცალკეული დადასტურებული თუ დაუდასტურებელი ინფორმაციები, რომელიც საზოგადოებაში პერიოდულად ვრცელდება და უკავშირდება ცალკეულ შემთხვევებს პატიმრების მიმართ არასათანადო მიდგომების თაობაზე. განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ზოგიერთი სახის ინფორმაციების გადამოწმებისა და სწორი სამართლებრივი რეაგირების ხელშეწყობისათვის აუცილებელია ასეთი საკონსულტაციო თუ სხვა მსგავსი ფორმატის საბჭოს ამოქმედება, მისთვის შესაბამისი კომპეტენციის განსაზღვრა და გამართული ფუნქციონირება, რომელიც, დარწმუნებული ვართ, შედის ხელისუფლების ინტერესებშიც. ვიმედოვნებთ, რომ ასეთი საკონსულტაციო ან მსგავსი ფორმატის საბჭოს შექმნას მხარს დაუჭერს სამინისტრო, რაც ხელს შეუწყობს პენიტენციური სისტემის გამჭვირვალობას, პატიმრების უფლებების დაცვის ხელშეწყობას. ასეთი საბჭოს შექმნის იმედს ტოვებს ის მიდგომები, რომელსაც სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა ავლენს პენიტენციური სისტემის გამჭვირვალობისა და პატიმრების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

***— რა კომენტარს გააკეთებთ არასრულწლოვანი ბრალდებულის, 16 წლის გოგა ძველაიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით?***

— ეს სამწუხარო ფაქტია, რომელიც არ შეიძლება დარჩეს სრულყოფილი გამოძიების გარეშე. არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები, რაც შედის საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფო უწყების ინტერესებში. მივმართეთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სრულად და ობიექტურად გამოიძიოს აღნიშნული ფაქტი და კანონით დადგენილ ფარგლებში მოხდეს ინფორმაციის განსაჯაროება. გამოვთქვით მზადყოფნა, ამ პროცესის საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებაში მივიღოთ მონაწილეობა. იმედი მაქვს, შესაბამისი უწყებები ხელს შეუწყობენ ამ პროცესზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებას. პირველადი ანალიზით, ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო მის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება, თუნდაც დანაშაულის სიმძიმისა და ასაკის თანაზომიერი გირაოს სახით.

***— რა პოზიცია გაქვთ ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით?***

— ხუდონჰესის მშენებლობას შეიძლება მოჰყვეს ეკოლოგიურ კატასტროფა. როგორც ცნობილია, ქართველი საზოგადოების ნაწილმა წლების წინ მკაფიო პროტესტი გამოუცხადა უცხოელებისთვის მომგებიან, ხოლო საქართველოსთვის დამღუპველ ხუდონჰესის მშენებლობას, რითაც საქართველომ თავიდან აიცილა რამდენიმე მშვენიერი ისტორიული სოფლის, ღირებული ეკოსისტემის, საეკლესიო ძეგლების დატბორვა და ეკოლოგიური კატასტროფა. ახალი ხელისუფლების მხრიდან ხუდონჰესის ამუშავებაზე მსჯელობის განახლებამ განაპირობა საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტი, რადგან ეს მშენებლობა გამოიწვევს რამდენიმე ქართული სოფლის წყლით დატბორვას და ეკოლოგიურ კატასტროფას.

# აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რუსეთის ქმედებებს გმობს

ნათია ხურცილავა

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობას არ ეთანხმებიან. დეპუტატები მიიჩნევენ, რომ საქართველომ პოლიტიზებულ ოლიმპიადას უარი უნდა გამოუცხადოს. უმაღლესი საბჭოს წევრები ცინიზმად აფასებენ ფაქტს, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ერთ-ერთი მეჩირაღდნე რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნიჩაევი იქნება, რომელიც 2008 წლის ომში „გამოჩენილი გმირობისათვის“ გმირის წოდებით დააჯილდოეს.

— რა არის აქ გასაკვირი? რუსეთი ყოველთვის გამოირჩეოდა სხვისი სახელმწიფო ინტერესების შემლახავი საგარეო პოლიტიკით. ამჯერადაც არ უღალატა თავის პრინციპებს და ოლიმპიადას ამოფარებულმა უდიდესი ცინიზმით გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ეს ჟესტი ძალიან შორს არის კეთილმეზობლური დამოკიდებულებისგან.... არაღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ქვეყნების ოლიმპიადაზე მიწვევის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, მით უმეტეს, რომ თამაშებში მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობენ და ვერც მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ამით რუსეთმა თავხედურად დაუმტკიცა საერთაშორისო საზოგადოებას, რომ სეპარატისტული რეგიონების ოკუპირებულ ტერიტორიებად შერაცხვამას საერთოდ არც აღელვებს და ამ „დამოუკიდებელ ქვეყნებს“ მოუსვამს კიდეც გვერდით მოწვეულ დიდ სახელმწიფოებს. რაც შეეხება მეჩირაღდნის შერჩევას, ამით რუსეთმა არა მარტო საქართველოს ღირსება შელახა, არამედ ამით მსოფლიოს დაუფიქსირა თავისი აგრესიული მენტორული პოლიტიკა.

პირადად მე მიზანშეუწონლად მიმაჩნია ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ამ ოლიმპიადაზე. მით უმეტეს, რომ ზამთრის სპორტის სახეობებში ნამდვილად არ გვყავს ისეთი სპორტსმენები, რომლებიც დიდ წარმატებას მოუტანენ ქვეყანას და, რომც გვყავდეს, ვფიქრობ, ყველანაირ ოლიმპიურ წარმატებაზე აღმატებული საქართველოს ღირსების და საერთაშორისო ავტორიტეტის დაცვაა. იმავდროულად, საქართველომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის მხრიდან ამ საერთაშორისო ღონისძიებებზე არანაირ ხელის შეშლას არ ჰქონდეს ადგილი, — განაცხადა გვაზავამ.

რუსეთის მიერ პროვოკაციული ნაბიჯი არც უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი ლომინაძისთვის არ არის მოულოდნელი.

— ჩემთვის რუსეთის ასეთი ნაბიჯი გასაკვირი არ არის. მისი მრწამსი და პოლიტიკა ჩამოყალიბებულია აგრესიაზე, დამცირებაზე, მეზობლებზე დომინანტობასა და კონტროლის დამყარებაზე ნებისმიერი მიზნის მისაღწევად. განცვიფრებას იწვევს სხვა რამ — პირველ რიგში, ჩვენი თანამოქალაქეების პოზიცია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. წმინდა წყლის დემაგოგიაა იმის მტკიცება, რომ სპორტი და პოლიტიკა სხვადასხვა რამ არის. მსოფლიოში ყველა ნორმალურად მოაზროვნემ იცის, რომ სპორტი და განსაკუთრებით ოლიმპიადა, მსოფლიო პირველობების ფორუმები ყველგან და ყველაფერში უპირველესად არის პოლიტიკა. რუსული სპორტი პოლიტიზებული იყო ყოველთვის და დღესაც დიდი ძალისხმევით მიღწეული უფლება ოლიმპიადის ჩატარებისა პოლიტიკური მოტივებით არის ნაკარნახევი. რა უნდა მოხდეს ამაზე აშკარა და მკაფიო შეურაცხმყოფელი, ქართველი კაცის დამთრგუნველი, რომ ხალხი გონს მოეგოს და მიიღოს ჯანსაღი გადაწყვეტილება, რასაც ჰქვია ბოიკოტი. მით უფრო, რომ ამ ოლიმპიადაში ჩვენი მონაწილეობა არის სიმბოლური ხასიათის, სხვა დატვირთვა მას აბსოლუტურად არა აქვს. არც ერთს იმ ოთხი მონაწილიდან არა აქვს რეალური შანსი, რომ საპრიზო შედეგი აჩვენოს. და საერთოდ, ღირს კი მონაწილეობის მიღება იმ ქვეყანაში, რომელმაც დაგაქცია, ყოველდღიურად შეურაცხგყოფს, მისი პოლიტიკის ქვაკუთხედად უქცევია შენი გაჩანაგება? რა დროს სიმბოლური ნაბიჯები და რევერანსებია? არ მესმის და ვერც გავიგებ ვერასდროს! იმედია, ჩემი ოლიმპიადისადმი ასეთი დამოკიდებულება არ იქნება გაგებული ისე, თითქოს მე სპორტს საკადრის მნიშვნელობას არ ვანიჭებდე. მე 18 წლის ასაკში გავხდი სპორტის ოსტატი ჭიდაობაში და თავის დროზე რუსეთის ნაკრებში გამოვდიოდი წლების მანძილზე და ვერც ვერავინ მასწავლის მის აუცილებლობასა და მნიშვნელობას, მაგრამ ყველაფერი ხომ უნდა შეფასდეს შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე?! წარმოიდგინეთ, ჩვენს ქვეყანაზე მოძალადე რუსეთი მთელი მსოფლიოს წინაშე მეჩირაღდნედ წარმოაჩენს ადამიანს, რომელსაც სპორტულ არენაზე არავითარი მიღწევები არ ჰქონია და რომელსაც მკერდზე ვარსკვლავი დაჰკიდა „სამშობლოს წინაშე ჩადენილი გმირობისთვის“ ანუ საქართველოს დაუცველი სოფლების დაბომბვისთვის და თუ ჩვენ ამ პროცესში ვიღებთ მონაწილეობას, რატომ არ უნდა დაიჯეროს ეს ყველაფერი კონგოელმა, ბრაზილიელმა, გერმანელმა ან ინგლისელმა, თურქმა თუ აფხაზმა? როცა რუსეთი ცდილობს ასეთ ადამიანს დააკისროს მეჩირაღდნის ფუნქცია, ეს ნიშნავს, რომ მისთვის მთლიანად ამ ე.წ. ოლიმპიადას აქვს ერთადერთი დატვირთვა — მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური! — აცხადებს ლომინაძე.

# კახა ხანდოლიშვილი: „კოდორის ხეობაში რუსების შეჩერების უფლება ვანო მერაბიშვილმა არ მოგვცა“

სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების ყოფილი უფროსი კახა ხანდოლიშვილი, ვანო მერაბიშვილის იმ განცხადებას ეხმიანება, რომლის თანახმადაც, თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომში, სასაზღვრო პოლიციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ, მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალების ომში ჩართვაზე უარი განაცხადა.

კახა ხანდოლიშვილი ვანო მერაბიშვილის ამ განცხადებას სიცრუეს უწოდებს და აცხადებს, რომ ომის ერთ დღეში წაგება, სწორედ პროფესიონალი სამხედროების იგნორირებისა და მერაბიშვილის უნიჭო დაგეგმარების შედეგი იყო.

„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად ტყუილზე და ცილისწამებაზეა აგებული. მერაბიშვილის მტკიცებით 2008 წლის აგვისტოში, ბიწაძემ ბრძანება არ შეასრულა და მესაზღვრეები საბრძოლო მოქმედებებში არ ჩართო.

სინამდვილეში კი, ცხინვალის რეგიონში მესაზღვრეები 7 აგვისტოს საღამოს ჩავიდნენ. მესაზღვრეთა ერთი დანაყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად, ცხინვალში შესვლას სამხრეთიდან ცდილობდა. მეორე დანაყოფმა კი, სადაც პირადად მეც ვიმყოფებოდი, ცხინვალის დასავლეთით, ორი ოსური სოფელი დიდმუხა და მუღუთი დაიკავა და აკონტროლებდა.

მესაზღვრების კიდევ ერთი დანაყოფი, დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი ონიდან, კვაისასკენ, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებთან ერთად ცდილობდა წინსვლას. ზუსტად პროფესიონალი სამხედროების იგნორირებისა და მერაბიშვილის უნიჭო დაგეგმარების შედეგია ომის ერთ დღეში წაგება. მხოლოდ 9 აგვისტოს, როდესაც ომი უკვე წაგებული იყო, გადააბარა მერაბიშვილმა ხელმძვანელობა სამხედროებს და კონფლიქტის ზონიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დანაყოფი გაიყვანა. ასევე, მესაზღვრეების მიერ კოდორის ხეობაში ხიდის აფეთქება რუსების შესაჩერებლად, პირადად მერაბიშვილის ბრძანებით არ განხორციელდა. ამის უშუალო მოწმე მე ვარ. „მოლაპარაკებები მიდის და რუსები 1-2 დღეში გავლენო“-ასე თქვა მაშინ მერაბიშვილმა. თუნდაც მხოლოდ ომის სამარცხვინო წაგებისთვის იმსახურებს მერაბიშვილი სამუდამოდ გლდანში ყოფნას. დარწმუნებული ვარ მას მალე საakaშვილიც შეუერთდება, — განაცხადა კახა ხანდოლიშვილმა ნიუსპრესს.

ნიუსპრესი

# თბილისის საკრებულოშ სუფრისთვის 7 ათასი ლარი დახარჯა

## გასკდა უგულავას მუცელი, ნახევარი მილიონის რა შეჭამა?



მერი ნამორაძე

მას შემდეგ, რაც ქალაქ თბილისის მერიამ საკრებულოს თბილისობის დღესასწაულის აღსანიშნავად გამართული წვეულება „არ შეარგო" და სუფრისათვის 7 ათასი ლარის ხარჯვა უსაყვედურა, საკრებულომაც მერიის მიერ ფურშეტებსა და რესტორნებში დახარჯული საბიუჯეტო თანხები გამოამზეურა. გუშინ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნიამ მის მიერ მოპოვებული დოკუმენტაცია წარუდგინა ჟურნალისტებს, რომლითაც ირკვევა, რომ თბილისის მერიამ 2012 წელს და 2013 წლის ივნისის ჩათვლით, ფურშეტებისა და რესტორნების მომსახურებისათვის დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი, კერძოდ, 484 255 დახარჯა.

გაბუნიამ რამდენიმე შემთხვევა გამოყო, კერძოდ – 2012 წლის იანვარში თბილისის მერიამ უმასპინძლა ამხანაგობის 3400 თავმჯდომარეს, რაც ბიუჯეტს ერთჯერადად დაუჯდა 79 ათას 616 ლარი. ამ პერიოდში, 16-26 იანვარს, საკრებულოს იმდროინდელი უმრავლესობის, ნაციონალური მოძრაობის მიერ მოხდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და სწორედ ამ ფაქტის აღნიშვნას უკავშირდება 80 ათასამდე ლარის რესტორანში დახარჯვა. 2012 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ამავე მიზნით მერიამ დახარჯა 29 ათას 591 ლარი, ხოლო 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული მომსახურების შესყიდვით ირკვევა, რომ მერიამ 120 პერსონაზე 24 ათას 944 ლარი გაიღო. ასევე 25 ათასი ლარია დახარჯული გასული წლის 17-19 მაისს 1300 პერსონაზე. 2012 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მერიამ 250 პერსონაზე მოწყობილ ალა-ფურშეტში 11 ათას 640 ლარი გადაიხადა.

– აქ მოტანილი ცალკეული შემთხვევებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ძვირადღირებული შეხვედრები იმართებოდა პარტიული აქტივისტებისთვის და ბიუჯეტის თანხები იხარჯებოდა პარტიული ინტერესებისთვის. იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნული ქმედებების კანონიერების საკითხი, კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7.2 მუხლთან მიმართებით, ვთვლით, რომ ეს საკითხი სამართალდამცავი ორგანოების შემდგომი შესწავლის საგანი უნდა გახდეს, – აღნიშნა გაბუნიამ.

გაბუნიამ გუშინ ჟურნალისტებს ჩააბარა მერიის ადმინისტრაციის მიერ ბეჭედდასმული გადარიცხვები და გაფორმებული ხელშეკრულებები. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ განაცხადა, წლების განმავლობაში ამბობდნენ, რომ ადმინისტრაციული და საბიუჯეტო რესურსები მერიის მიერ იხარჯებოდა პარტიული აქტივისტებისათვის და პარტიული ამოცანებისათვის. გაბუნია საზოგადოებას პირდება, რომ არა მხოლოდ რესტორან-ფურშეტებში გაფლანგულ თანხებს, არამედ ძალიან ბევრი მიმართულებით, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებითაც გამოამზეურებს დოკუმენტაციას. ასე რომ, პირველ „სერიას" აუცილებლად მოჰყვება მეორე, თუმცა, ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, რა მიმართულებით გამოაქვეყნებს კომპრომატებს მერიის მისამართით.

– უახლოეს დღეებში ჩვენ გავაგრძელებთ ასეთი დოკუმენტების გასაჯაროებას, რომელიც არა მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯზე პარტიული აქტივისტების ჭამასმას, არამედ სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა გზით თანხების მითვისებას უკავშირდება. ამას მომავალში დავაკონკრეტებ. მე ვარ თბილისის საკრებულოს წევრი და მაქვს წვდომა ასეთ დოკუმენტაციაზე. სხვა საკითხია, რომ თბილისის მერია წლების განმავლობაში მალავდა ასეთ დოკუმენტაციას და ახლა ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის ხელმისაწვდომი გახდა და მე, რა თქმა უნდა, ეს საზოგადოებას გავაცანი. არაკეთილსინდისიერებაა, როცა თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით უცხოელი სტუმრებისათვის გამართულ პატარა მაგიდაზე გვედავება თბილისის მერია, როცა ნახევარი მილიონი აქვს დახარჯული პარტიული აქტივისტებისათვის. იმ მაგიდაზე, რომელიც თბილისობას უკავშირდებოდა, მოწვეული იყვნენ დაძმობილებული ქალაქები, უცხოელი დიპლომატები, ადგილობრივი წარმომადგენლობები და ასე შემდეგ. ეს არის შესანიშნავი დოკუმენტური ილუსტრაცია იმისა, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით, უბრალოდ, აქამდე არ გვქონდა საშუალება დოკუმენტები წარმოგვედგინა საზოგადოებისთვის, – აღნიშნა გაბუნიამ.

მოკლედ, მალე სამართალდამცავები გადაიბარებენ ამ საქმეს და საკრებულოსაც უფრო აქტიურად მოიკითხავს წარსულში ჩადენილ მერიის „საგმირო საქმეებს". მანამდე კი საკრებულოს ადამიანის უფლებების კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავა, ამ ფაქტებთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებს: – გასკდა უგულავას მუცელი, ნახევარი მილიონის რა შეჭამა? სტრიპტიზკლუბებში რომ დადიოდა, ვიცოდით, იქიდან რომ მოდიოდა ანგარიშ-ფაქტურები. ვფიქრობ, ეს ყველაფერი თბილისელებისათვის ძალიან კარგი ილუსტრაციაა იმისა, როცა ესაუბრებიან შეწუხებული სახით სხვადასხვა პროგრამებზე, რეაბილიტაციაზე და ინფრასტრუქტურის შექმნაზე... რეალურად ვხედავთ, საითაა მიმართული ჩვენი ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წუხილი.

# რა ხდება ხარაგაულში?

როლანდ ხოჯანაშვილი



ხარაგაული იმერეთში ვრცელი ფართობით გამორჩეული მუნიციპალიტეტია. მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული რესურსებისა, ხარაგაულში მოსახლეობას პოზიტივები არ შეუმჩნევია ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად. საკადრო პოლიტიკა, კოჰაბიტაციის მავნე ზეგავლენა და დასაქმების პრობლემები ხარაგაულშიც არსებობს, თუმცა არის ზოგიერთი საკითხი, რომელთა ანალიზიც კომედიურ ელფერს იძენს. არსებულ პრობლემებზე „ახალ თაობას" ესაუბრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი რუსუდან გურგენიძე.

***– ქალბატონო რუსუდან, ხარაგაული იმ მუნიციპალიტეტთა შორისაა, რომლებზეც არ აქვს ფართო საზოგადოებას ინფორმაცია, როგორ მიმდინარეობს „კოჰაბიტაციური" პერიოდი ხარაგაულში?***

– კოჰაბიტაციის პროცესი ხარაგაულში იმდენად „კარგად" მიდის, რომ ხშირად ეჭვი მეპარება, მე ხომ არ ვიყავი „ნაციონალი" ნეტავ? მარტო ის რად ღირს, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატების" ხელმძღვანელი არის პიროვნება, რომელიც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური პარტიიდან ხარაგაულის მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ნაციონალების" სიით მოხვდა საკრებულოში, ხოლო უკანასკნელ არჩევნებში ნაციონალების მაჟორიტარ კანდიდატს ეხმარებოდა საარჩევნო კამპანიის წარმოებაში და, შეიძლება ითქვას, მისი მარჯვენა ხელი იყო.

***– თავად დავამუშავე საკითხი, რომელიც გასული პირველი ექვსი თვის ხარაგაულის ბიუჯეტს შეეხებოდა. „მინუსიანი" ბიუჯეტი არ აქვს ხარაგაულს, მაგრამ მოსახლეობას მაინცდამაინც კმაყოფილების ხარისხი არ გაზრდია. რა არის „კარგი" ბიუჯეტის მიუხედავად ხალხის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი?***

– რატომ არ შეეტყო ბიუჯეტის ზრდა ხარაგაულის მოსახლეობას? ერთი მარტივი მიზეზის გამო! ბიუჯეტის დიდი ნაწილი ადგილობრივი ხელისუფლების ხელფასებს და პრემიებს ხმარდება. როგორც მაქვს ინფორმაცია, პრემიის სახით მარტო აგვისტოში 18000 ლარია გამოყოფილი. კულუარული ინფორმაციით, ყველა მაღალჩინოსანი, ვინც კი ხარაგაულის ტერიტორიაზე გაივლის და რიკოთის უღელტეხილზე სადილად რომელიმე რესტორანში შევა, დანახარჯს გამგებელს უგზავნის მისივე მოთხოვნით. მართალია, ბიუჯეტის ზრდას სხვადასხვა პროექტების დაფინასება იწვევს, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ აქვთ მუდმივი შემოსავალი, სიღარიბის ზღვარზე არიან. დიდი ვერაფერი შეღავათია კულტურის ცენტრისა თუ რომელიმე სოფელში ბაღის აშენება. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წელიწადში შეიძლება ამ ბაღში მიმსვლელი ბავშვი აღარც კი იყოს სოფელში. ხარაგაულში ხომ ძალიან მწირი შემოსავალი აქვს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.

***– როგორც ამბობენ, თქვენს მუნიციპალიტეტში საშტატო ერთეულები იმდენად გაიბერა, რომ არა მარელისის წარმოებული სკამები, ალბათ გაჭირდებოდა ახალი „ადმინებისათვის" სკამების მოძიება, რამდენად შეეფერება სინამდვილეს აღნიშნული?***

– შტატების „გაბერვა" ხარაგაულში კარგა ხანია, შაყირის თემაა. თითოეულ ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულს მინიმუმ სამი თანაშემწე ჰყავს. გამგეობის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურები გაყოფილია, შტატგარეშე ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლების სათვალავი აღარაა. გამგებელს ოთხი მოადგილე ჰყავს. საფინანსო სამსახურში საბიუჯეტო, ეკონომიკური და შესყიდვების განყოფილებები ცალ-ცალკეა. არასამეწარმეო იურიდიული პირები ცალკე თემაა... არჩევნების შემდეგ, 2013 წელს, ორი აიპი შეიქმნა, ხოლო აიპებში ნაციონალების კოორდინატორების დასაქმება ჩვეულებრივი ამბავია.

***– რახან მარელისი ვახსენეთ, რამდენად შეიძლება მარელისის ავეჯის ფაბრიკის აღორძინება? ასევე რა სიტუაციაა ზვარესა და ნუნისში? რატომღაც ეს ორი რეკრეაციული ობიექტი ყურადღების მიღმა რჩება!***

– მარელისის ფაბრიკის აღორძინება შეუძლებელია, ვინაიდან იქ უკვე აღარაა დაზგა– დანადგარები და მეპატრონე უკვე შენობის აგურ-აგურ გაყიდვაზე გადავიდა. რაც შეეხება ზვარეს, მისი აღდგენა მართლაც შესაძლებელია, თუმცა ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გამო (არ ვიცი მშენებლების ბრალია თუ სახელმწიფოს მხრიდან დაუდევრობისა), მინერალური წყლის ჭაბურღილის სათავეზე მიმდინარეობს გვირაბის მშენებლობა. ეს კი მინერალური წყლის შემადგენლობის ცვლილებას გამოიწვევს. ნუნისი კერძო საკუთრებაა, მუშაობს სრული დატვირთვით, თუმცა სასურველი იქნებოდა კიდევ მეტის გაკეთება და ცოტა ფასების გადახედვაც.

***– მოლოდინის მიუხედავად, ათასგან და ათასგზის შერისხული „რესპუბლიკური პარტიის" წევრი გყავთ მაჟორიტარ დეპუტატად. როგორც რიგითი ადამიანები ამბობენ, მან მაქსიმუმი შეძლო ამ მოკლე პერიოდში. როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?***

– რაც შეეხება დეპუტატის საქმიანობას, ვფიქრობ, ხარაგაულს ასეთი დეპუტატი არ ჰყოლია. ხარაგაულის ბიუჯეტის ასეთი ზრდაც ხომ მისი დამსახურებაა. როგორც კანონმდებელი, ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას.

***– ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოებში დიდი გადაადგილებები შეიმჩნეოდა. ალბათ არც თქვენი საკრებულო იქნება გამონაკლისი, მაგრამ მინდა კომენტარი გააკეთოთ 28 დეპუტატიანი საკრებულოს 6 ფრაქციაზე...***

– გადაადგილებები ხარაგაულის საკრებულოში საერთოდ არ მომხდარა. არცერთი კომისიის თავმჯდომარე არ შეცვლილა, რომ აღარაფერი ვთქვათ საკრებულოს თავმჯდომარესა და მოადგილეზე. უბრალოდ, ფრაქციები შეიქმნა, რისი საშუალებითაც „ნაციონალები" იღებენ ხელფასს. საკრებულოში ამჟამად ერთი ნაციონალური ფრაქცია და 5 სამკაციანი ფრაქციაა. ამათგან სამის სახელში „ქართული ოცნება" ფიგურირებს.

# ქონებაჩამორთმეულ მეწარმეთა რაოდენობა ათასს აჭარბებს

მერი ნამორაძე



გუშინ საკრებულოს ადამიანის უფლებათა კომისიამ ყოფილი ხელისუფლების დროს რეპრესირებული პირების განაჩენების, გადაწყვეტილებების, საპროცესო გარიგებების და ჩუქების ხელშეკრულებების გადასინჯვის შესახებ იმსჯელა. კომისიის სხდომას თავად რეპრესირებული მეწარმეები, ყოფილი პოლიტპატიმრები, არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებოდნენ. კომისია დაინტერესდა, რეალურად რა უშლის ხელს ამ ადამიანთა საქმეების გადასინჯვას – სასამართლო უშლის ხელს, პროკურატურა თუ რაიმე საკანონმდებლო ხარვეზია „დამნაშავე".

სხდომაზე მიწვეულნი იყვნენ ეკონომიკის სამინისტრო და თბილისის მერია – ის ორგანოები, რომლებმაც „ისარგებლეს" ამ ადამიანთა რეპრესიით და რომელთა ქონება აღრიცხულია თბილისის მერიასა და ეკონომიკის სამინისტროზე.

როგორც კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, კომისია დაინტერესებულია იმით, რომ არ მოხდეს რეპრესირებულ ადამიანთა ქონების განიავება, ვიდრე მართლმსაჯულება აღსრულდება. ამასთან, სასურველია, მათთანაც მოხდეს იმ მექანიზმების შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ჩამორთმეული ქონების კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებას.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# საპარტნიორო ფონდი უპრეცედენტო მასშტაბის ენერგეტიკულ პროექტს ახორციელებს

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ და მსხვილ თურქულ კომპანია –„ I ღუ "-ის დირექტორმა ჰალილ სარიბეიმ ხელი მოაწერეს დამატებით ხელშეკრულებას გარდაბანში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. ცერემონიალს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე დაესწრო.

საპარტნიორო ფონდის ახალი მენეჯმენტი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა არსებული პროექტის განსახორციელებლად და დღევანდელ დღეს ფონდისა და სამთავრობო სტრუქტურების ძალისხმევით, მხარეებს შორის ყველა საკითხი შეთანხმებულია, რაც მყარი წინაპირობაა პროექტის წარმატებისთვის.

ირაკლი კოვზანაძის განცახდებით, მსგავსი მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ენერგოისტორიაში პირველად ხორციელდება და ეს პროექტი იქნება მნიშვნელოვანი წინსვლა გენერაციის ახალი წყაროების შექმნის კუთხით. „პროექტის საინვესტიციო ღირებულებაა 200 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. იგი დაფინანსდება საპარტნიორო ფონდისა და მისი შვილობილი კომპანია „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ. შედეგად, საქართველოს ენერგეტიკა 2015 წლის ბოლომდე მიიღებს დამატებით 230 მეგავატის სიმძლავრეს, რაც გადამწყვეტი ფაქტორია მზარდი ენერგომოხმარების დაკმაყოფილებისთვის და ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის. მიმაჩნია, რომ ეს პროექტი არის, გადამწყვეტი ნაბიჯი საქართველოს ენერგოსისტემის აღმშენებლობის და მისი მდგრადობისა და ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების კუთხით," – განაცხადა კოვზანაძემ.




თბოელექტროსადგურს, რომელიც „ჯენერალ ელექტრიკის" ორი უახლესი მდტურბინით იქნება აღჭურვილი, საშუალება ექნება, საჭიროების შემთხვევაში, 25-30 წუთის მანძილზე ჩაერთოს საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში, დაიცვას ენერგობალანსი და სისტემის გრადობა.

აღსანიშნავია, რომ უახლესი ტექნოლოგიური აღჭურვილობიდან გამომდინარე კომბინირებული ციკლის გარდაბნის თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოიფიციენტი ერთი მესამედით უფრო მაღალია და 50%-ით უფრო ეკონომიური, ვიდრე სხვა ნებისმიერი დღეს საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგური.

საპარტნიორო ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებიდან (ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, უძრავი ქონება/ინფრასტრუქტურა, წარმოება) ენერგეტიკა პრაქტიკულად ყველაზე ინვესტიციატევადი და შესაბამისად, პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, საპარტნიორო ფონდის ძალისხმევით, ყველა საშუალება იქნა გამოყენებული, რათა ეს უპრეცენდენტო მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი მკაფიოდ განსაზღვრულ და მხარეებისთვის ერთნაირად ხელსაყრელ ვითარებაში განახლებულიყო.

გარდაბნის ახალი კომბინირებული ციკლის 230 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლა 2015 წლის ზამთრისათვის იგეგმება.

# ნიკოლოზ რაჭველი კრონბერგის ფესტივალზე მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი



დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა, რომელიც ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან საკუთარი სურვილით წავიდა, გერმანიაში ყოფნისას სერიოზული მიწვევები მიიღო. მან „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე დაწერა:

— კრონბერგში ვარ, სადაც ფესტივალზე თავმოყრილია საოცარი ხალხი. ერთად არიან აქ ბაშმეტი, კაშკაშიანი და ნაბოკო იმაი. ტაბეა ზიმერმანი ვერ ჩამოვიდა, ავადაა. აქაა გიდონ კრემერი, აქაა მიშა მაისკი, აქ იყვნენ და უკვე წავიდნენ ლიზა ბათიაშვილი და ჯულია ფიშერი. საოცარი ატმოსფეროა. ხვალ გია ყანჩელი ჩამოდის. ესაა ჩამიარა პაბლო კასალსის მეუღლემ, საოცარი მოხუცი ქალბატონია. დილას სასტუმროში საუზმეზე რომ ჩავდივარ და ყველა ჩემ მიერ ჩამოთვლილი ხალხი მაგიდებთან რომ სხედან, თავი ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის გმირი მგონია. ეს კველაპერი რეალობას ნამდვილად არ ჰგავს.

როგორც ნიკოლოზ რაჭველის გერმანულ ვიზიტს ფონდის „იავნანა" სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძე გამოეხმაურა:

— ნიკოლოზ რაჭველმა ბერლინის ფილარმონიაში იდირიჟორა, გიდონ კრემერთან, მის ორკესტრთან და გუნდთან და ერთად არვო პიარტის ესტონური იავნანა შეასრულა. დიდი ოვაციები მოჰყვა გია ყანჩელის ნაწარმოების „სევდის ანგელოზების" პრემიერას. მაესტრო, ნიკოლოზი და გიდონი მაყურებელმა ორჯერ მოიხმო სცენაზე და დიდი სიყვარულით დააჯილდოვა. მეორე განყოფილება ხატია ბუნიათაშვილის ტრიუმფით დაიწყო, მისი პროკოფიევის შემდეგ დარბაზმა ცოტა „საშიშად" დაიგრუხუნა!!! უდიდესი შთაბეჭდილება — მარტა არგერიხი!!! ბისზე მარტამ და დანიელ ბარენბოიმმა ერთ როიალთან ორ ხელში დაუკრეს. ნიკა კრონბერგის კლასიკური მუსიკის ფესტივალის დირექტორმა 2014 წლის ფესტივალზეც მიიწვია, — წერს თეონა ჯორბენაძე.

თავად **ნიკოლოზ რაჭველი** კი ამ ყველაფერს ასე ეხმაურება:

— ჩემმა პირველმა კონცერტმა გიდონ კრემერთან, მის ორკესტრთან, გუნდთან და სოლისტებთან ერთად კრომბერგის ფესტივალზე დიდი ოვაციებით ჩაიარა! ახლა უკვე ჩამოვფრინდით ბერლინში და ვიწყებთ მზადებას მორიგი კონცერტისათვის, სადაც შემოგვემატებიან საოცარი სოლისტები მარტა არგერიხი, დანიელ ბარემბოიმი, სრგეი ნაკარიაკოვი, ემანუელ პაი და ხატია ბუნიათიშვილი! გარკვეული დროის წინ ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთ კონცერტს თუ ვუდირიჟორებდი. დიდი მადლობა გია ყანჩელსა და გიდონ კრემერს ჩემი მოწვევისათვის. მასთან ერთად რამდენიმე ერთობლივი პროექტი დავგეგმე და მიხარია!

კონცერტი, რომელზეც ნიკოლოზ რაჭველმა ისაუბრა, ბერლინში ფილარმონია კამერმუზიკსალში ჩატარდა. აქ გაიმართა აქცია-კონცერტი ქართველი და უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით, სახელწოდებით „სიყვარულით რუსეთს". ღონისძიება ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის მე-7 წლისთავთან დაკავშირებით დაიგეგმა და მიეძღვნა მათ, ვინც, ზეწოლის მიუხედავად, რუსეთში ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას განაგრძობს, მათ შორის — ანტიფაშისტური იდეებით ცნობილ როკ-მუსიკოს თემურ კაჭარავას, რომლის სიკვდილს სწორედ მსგავსი შინაარსის მოძრაობას უკავშირებენ.

აქცია-კონცერტში ქართველ ხელოვანებთან ერთად მონაწილეობდნენ ცნობილი მუსიკოსები გიდონ კრემერი, მარტა არგერიხი, დანიელ ბარენბოიმი, ემანუელ პაიუ, სერგეი ნაკარიაკოვი, ნიკოლას ალშტაიდი, რომან კოფმანი, ელსბეტ მოსერი, ნიკლოლზ რაჭველი, ხატია ბუნიათიშვილი და გია ყანჩელი.

ნიკოლოზ რაჭველი გულგრილი ვერც ანიტა რაჭველიშვილის წარმატებამ დატოვა:

— ხალხო, ნახეთ, რა წარმატება აქვს ანიტას ბერლინში, საოპერო მელომანები მხოლოდ მასზე საუბრობენ და კრიტიკოსებს თავადვე უკვირთ ისეთი საქებარი წინადადებები ეწერებათ თავისდაუნებურად, რადგან სიმართლეს, რომ ანიტა საუკეთესო და განუმეორებელია უკვე ველარავინ უარყოფს და ამ მოვლენის აღიარებით თავადაც ხარობენ! მე კი როგორც მეგობარი და როგორც, უბრალოდ, ქართველი, ძალიან ამაყი და გახარებული ვარ!

**თეონა ჯორბენაძე კი უცხოური პრესის მიმოხილვას ეხმაურება:**

— „ანიტა რაჭველიშვილმა კედელზე გააკრა სპექტაკლის ყველა მონაწილე!!!" — როცა ანიტას უსმენ კიდევ ერთხელ რწმუნდები უზენაესის არსებობაში, რადგან მის ხმაში კონცენტრირებული ძალა ადამიანურზე აშკარად მეტია. მაგრამ გუშინდელმა სპექტაკლმა მისი, როგორც დრამატული არტისტის შესაძლებლობების ისეთი დემონსტრირება მოახდინა, რომ უკვე აღარ ვიცი, საოპერო დივებს უნდა ვადარებდე თუ დიდ მსახიობებში გადავიბარგო? ლუბაშას განცდების მოზიარე გახდა მთელი დარბაზი, შეყვარებული ქალი იმდენად შეპყრობილი ხდება საყვარელი მამაკაცის დაკარგვის ვნებით, რომ მზად არის, ნელი და მტანჯველი სიკვდილის განაჩენი გამოუტანოს მისთვის სასურველ ქალს, ბოლოს კი თავად ითხოვს სიკვდილს. ანიტა ისე ამზადებს თავისი გმირის მთავარ ხაზს, იმდენად დამაჯერებელია და გულწრფელია, რომ შეუძლებელია, არ თანაუგრძნო და მასთან ერთად ერთხელ მაინც არ მოგინდეს ტირილი. რეჟისურა — დროით გამოცდილი კლასიკური ხერხის „თეატრი თეატრში" თანამედროვე ვერსია — ჩეთით გამოცხადებული კასტინგით და სცენაზე აწყობილი საეთერო სტუდიით. დასამახსოვრებელი იყო სპეციალურად გადაღებული „პირველი ლედის" ფენომენის შარჟი, რომელიც სიკვდილის სცენის ეპიზოდის პარალელურად ტრიალებდა ეკრანზე. რა ხიბლი შეიძლება ჰქონდეს მეფის ცოლობას ანუ პირველ ლედობას წრფელი სიყვარულის საპირწონედ? — ამ კითხვას აშკარად სვამდა რეჟისორი.

სადირიჟორო პულტთან დანიელ ბარენბოიმი. საერთაშორისო მუსიკალურმა კრიტიკამაც ბევრი დაწერა ამ სპექტაკლისა და ანიტას არტისტული შესაძლებლობების შესახებ. „ანიტა რაჭველიშვილმა კედელზე გააკრა სპექტაკლის ყველა მონაწილე" — ასეთი იყო ერთ-ერთი კრიტიკოსის შეფასება, რომელსაც არა მარტო ჩვენ (შესაძლოა, ვინმემ სუბიექტურობა დაგვაბრალოს), არამედ მთელი გუშინდელი დარბაზი დაეთანხმა, თანხმობის ნიშანი კი პაკლონზე გამოსული ანიტასთვის მიძღვნილი ზღვა ემოცია იყო, ბრავოს შეძახილებითა და ფეხების ბრახუნით. დანარჩენ არტისტებთან ცოტა უხერხულიც კი იყო, ანიტამ მაყურებელთა ოვაციით გუშინ საღამოს დანიელ ბარენბოიმსაც კი გაუსწრო.

იმისთვის, რომ საზოგადოება ამ ყველაფრის უტყუარობაში დარწმუნდეს, თეონა ჯორბენაძე მათ სთავაზობს:

— ჩვენი გერმანული კულტურული ტურნეს ნამდვილი სამეფო გვირგვინი ანიტა რაჭველიშვილის ლუბაშა გახლდათ ბერლინის სახელმწიფო ოპერის სპექტაკლში „მეფის საცოლე" (რიმსკი-კორსაკოვი), შესაძლოა ბევრმა თქვენგანმა ნახა, რადგან პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა მეცოზე, ვისაც არ გინახავთ, აუცილებლად გადაახვიეთ და ნახეთ.

ნიკოლოზ რაჭველი უცხოეთში კონცერტების გამართვის პარალელურად, ქართულ ტელესივრცეშიც დაკავდა. ტელეკომპანია „მაესტროზე" გამოჩნდა ბასა ფოცხიშვილის პროექტი „ერთი წუთი მაესტროზე", რომლის მუსიკაც ნიკოლოზ რაჭველის დაწერილია.

# ქონებაჩამორთმეულ მეწარმეთა რაოდენობა ათასს აჭარბებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

—ოფიციალური პირებისაგან ჩვენ ხშირად ვისმენთ, რომ ამ საქმეების გადასინჯვას ხელს უშლის გარკვეული სამართლებრივი თუ ფინანსური მიზეზები, რასაც ჩვენი კომისია, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე არ ვეთანხმები, — აღნიშნა კახა კუკავამ. მისი თქმით, რამდენიმე კვირაში უკვე რეკომენდაციის პაკეტს შეიმუშავებს კომისია და სამოქალაქო აქტივობით აიძულებს შესაბამის ორგანოებს განახორციელონ მართლმსაჯულება და აღადგინონ სამართლიანობა. ძირითადი რეკომენდაცია, სავარაუდოდ, პროკურატურის მისამართით იქნება, ამასთან, რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილების ინიციატივა მომზადდება პარლამენტისთვის.

ადამიანის უფლებების კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, კომისიაში 400-ზე მეტი პატიმრის საკითხია განსახილველად შესული, ქონებაჩამორთმეულ მეწარმეთა რაოდენობა კი ათასს აჭარბებს. არის კიდევ სხვა კატეგორიის პრეტენზიები ადამიანებისა, რომელთა უფლებები შეილახა, თუმცა ამჯერად აქცენტი უკანონო სისხლის სამართლის განაჩენებსა და უკანონო სამოქალაქო გადაწყვეტილებებზე, საპროცესო გარიგებებსა და ჩუქების ხელშეკრულებებზე გაკეთდება.

როგორც სხდომაზე მიწვეულმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ასეულობით საჩივარია მათთან შესული უკანონოდ გასამართლებული პირების მხრიდან. საპროცესო გარიგებების გადასინჯვის მიმართულებით ჯერჯერობით ნაბიჯები არ გადადგმულა, რადგან დღევანდელი კანონმდებლობით ეს შეუძლებელია. საკრებულოს ისინი სწორედ საქმის ადგილიდან დაძვრის ინიციატივით ესტუმრნენ:

— არ ხდება კომისიის შექმნა, რომელმაც უნდა გადახედოს ძალადობით გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებებს. ვფიქრობთ, ეს საკითხი აქტუალური უნდა გახდეს და ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უნდა გადადგას ნაბიჯები, — აღნიშნა უფლებადამცველმა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

## განცხადება

2013 წლის 5 დეკემბერს, 12 საათზე, შ.პ.ს. „GEOEKO OTTA"-ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: მარნეულის რ-ნი, ჯანდარის დასახლების მიმდებარე ტერიტორია), გაიმართება სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ნახმარი ზეთების რეგენერაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

— მარნეულის რ-ნი, ჯანდარის დასახლების მიმდებარე ტერიტორია (კომპანიის ოფისში);

— გორი, ბარნოვის ქ. 9ა. ტელ.: 599-70-80-55.

დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე : www.moe.gov.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

*შ.პ.ს. „GEOEKO OTTA"-ს ადმინისტრაცია*

## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა—ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ლუის მენოტი: „ფეხბურთი გუნდური თამაშია“



არგენტინელი სპეციალისტი სესარ ლუის მენოტი საკმაოდ ცნობილი ფიგურაა საფეხბურთო სამყაროში. მენოტი 1974-83 წლებში არგენტინის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა და 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ესპანეთში ის გასული საუკუნის 80-იან წლებში „ბარსელონას“ და მადრიდის „ატლეტიკოში“ მუშაობდა.

ესპანურ ფეხბურთთან მისი სიახლოვის გამო, აპენინელი ჟურნალისტები ხშირად ესაუბრებიან და მისი ერთ-ერთი ინტერვიუ მადრიდის „რეალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– რით გაგაკვირვათ ამჟამინდელმა „რეალმა“?***

– მხოლოდ იმით, რომ ადვილად ელევა მესუთ ოზილის მსგავს ფეხბურთელებს – ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც მართლა ფეხბურთს თამაშობენ, ესმით და გრძნობენ. მისი გაშვება ჩემთვის მართლაც სიურპრიზი იყო. კარლო ანჩელოტიზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, უნდა დაველოდოთ, სანამ გუნდს ააწყობს.

***– როგორ ფიქრობთ, ამას დიდი დრო დასჭირდება?***

– თუ გუნდის შენებაზე ზუსტი წარმოდგენა გაქვს და გამოძრავებს იდეები, რომლებიც ფეხბურთელებამდე უნდა მიიტანო, მაშინ ყველაფერი ერთი საერთო მექანიზმივით მუშაობს. „რეალის“ მსგავს გუნდებში მწვრთნელის უმთავრესი ამოცანა აქცენტების სწორად დაყენებაა, რათა ფეხბურთელთა უზარმაზარი პოტენციალი ტყუილად არ დაიკარგოს. როდესაც „რეალის“ თამაშებს ვუყურებ, არ მშორდება აზრი, რომ კონტრშეტევებზე თამაშისთვის უპირატესობის მინიჭება, მთლად კარგი არ უნდა იყოს. მეჩვენება, რომ ფეხბურთელებს უფრო კომბინაციური თამაში სურთ, რათა მეტს აკონტროლებდნენ ბურთს და პირველი ნომრები იყვნენ. სადღეისოდ, „რეალში“ რთული მდგომარეობაა. იმავე გარეტ ბეილთან დაკავშირებით, ჯერაც ბევრი რამ გაურკვეველია – ვერ გავიგე, სად და როგორ აპირებს მის გამოყენებას ანჩელოტი. რა თქმა უნდა, ყველაფერს დრო სჭირდება, მაგრამ ყურადღებით ყოფნაა აუცილებელი: საკმარისია მოეშვა, „ბარსელონა“ 8 ქულით გაგასწრებს და მერე შეგიძლია მას ხელი დაუქნიო.

***– მადრიდში მოსვლისთანავე ანჩელოტი სანახაობრივ და შემტევ ფეხბურთზე საუბრობდა, ჩვენ კი ვნახეთ, რომ ხშირ შემთხვევაში გამარჯვებისთვის სწრაფი კომბინაცია და 3 პასი აღმოჩნდა საკმარისი.***

– სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა – 3 პასით შეტევის მცდელობის 80 პროცენტი ბურთის დაკარგვით სრულდება. სერიოზული და დამუშავებული გუნდური თამაშის სქემის გარეშე მაინც არაფერი გამოვა. მართალია, რაღაც მომენტებში გამორჩეული კომბინაციების წყალობით შესაძლოა წარმატებას მიაღწიო, მაგრამ გათვლის იმაზე გაკეთება, რომ 3 სწრაფი პასით ყოველთვის გოლს გაიტან, მაინცდამაინც ჭკვიანური გადაწყვეტილება არაა. ძალიან კარგია, გუნდში ისეთი ოსტატები რომ გყავს, რამდენიმე ტაქტიკურ-ტექნიკური მოქმედებით მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ, მაგრამ ის ეფექტური მხოლოდ მაშინაა, როდესაც ეს ყველაფერი წინასწარ გააზრებული გუნდის სისტემურ ურთიერთქმედებაზეა დამყარებული.

***– რას იტყვით ბეილიზე და კრიშტიანუ რონალდუზე?***

– როდესაც ისინი მეტოქესთან ერთი-ერთზე რჩებიან, შეუდარებლები არიან, მაგრამ არა მაშინ, როდესაც მათ წინ 5-6 მოწინააღმდეგეა. თუ „რეალის“ ფეხბურთელები და მთლიანი გუნდი საკუთარ თამაშს თავს ვერ ართმევს, 2 ადამიანი საორცებას ვერ მოახდენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი გუნდური თამაში არ გამოდის, მხოლოდ კრიშტიანუსა და ბეილის სისწრაფის ხარჯზე წარმატებას ვერ მიაღწევ. თუკი მთელი გუნდის მხრიდან არ იქნება კომბინირებული თამაში, მათ უბრალოდ ხელ-ფეხს შეუკრავენ. ფეხბურთი გუნდური სახეობაა და ყველაზე გამორჩეული მოთამაშეებიც კი, კოლექტიური თამაშის არარსებობის კომპენსირებას ვერ მოახერხებენ. არ დაგავიწყდეთ, რომ ფეხბურთის ბაზისი სამი რამაა: სივრცე, დრო და ეშმაკობა.

***– სხვა დანარჩენი?***

– დიდწილად მეორეხარისხოვანია. ამიტომ, იმისათვის, რომ მოედნის ბატონ-პატრონი იყო, აუცილებელია ფლობდე ბურთს და ამ შემთხვევაში კარგი შემსრულებლების ფონზე შეგექმნება ბევრად უფრო მეტი საშუალება იმისა, რომ მეტოქე გააკვირვო. „რეალი“ მუდამ პირველი ნომერი უნდა იყოს, რადგან „კატანია“ არაა, მეტოქის კეთილგანწყობას ელოდოს. უწინარესად, სასტარტო შემადგენლობა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ჯერაც არ ვიცით, ვინაა ძირითადის ფეხბურთელი. ჩვენ ვიცით „ბარსელონას“, „ატლეტიკოს“ ძირითადი შემადგენლობები, „რეალის“ კი არა და ჯერჯერობით ეს გასაგებია: ახალი მწვრთნელი აკვირდება ფეხბურთელებს, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. როტაციის პრინციპი შესაძლოა კარგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც გუნდის ძირითადი ჩონჩხი ჩამოყალიბებულია, შემადგენლობა შეთამაშებული და ცვლილებები მხოლოდ გარკვეული ელემენტების გათვალისწინებით ხდება. „რეალში“ ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან და იმედი მაქვს, მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობასთან დაკავშირებით მალე ჩამოყალიბდება.

***– პრიმერა დივიზიონში მომუშავე 2 არგენტინელ მწვრთნელზე – დიეგო სიმეონესა და ხერარდო მარტინოზე რას იტყვით?***

– სიმეონეს „ატლეტიკო“ ახლა აღმასვლას განიცდის. ეს ისედაც მებრძოლი გუნდი იყო და დერბიში მოგების შემდეგ მათი თავდაჯერებულობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. რაც შეეხება მარტინოს, ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ მისი „ბარსელონა“ ამოცნობად ფეხბურთს აჩვენებს.

***– მაგრამ კატალონიელები ხომ მუდამ ერთ სტილში თამაშობენ, რომელიც ბურთის კონტროლზეა დამყარებული?***

– თქვენ ფიქრობთ, რომ ბურთის კონტროლი გუნდის თამაშს ამოცნობადს ხდის? თამაშის წაყვანის ვარიანტები მხოლოდ მაშინ გიჩნდება, როდესაც ბურთს აკონტროლებ და „ბარსელონას“ პრობლემები იმის გამო კი არ ექმნება, რომ ბურთს აკონტროლებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, ხანდახან თამაში რომ არ მისდის. ყოველ შემთხვევაში, „ბარსელონას“ ზუსტი წარმოდგენა აქვს თამაშზე და უბრალოდ, ხანდახან ყველაფერი არ გამოსდის.

***– „რეალიდან“ ჟოზე მოურინიოს წასვლაზე რას იტყვით?***

– ახლა ძალიან ძნელია იმის თქმა, მოიგო თუ არა „რეალმა“ მოურინიოს წასვლით. მართალია, მის ხელში გუნდი ლამაზ თამაშს არ აჩვენებდა, მაგრამ ჩემპიონობისთვის იბრძოდა. ახლა საქმე სხვაგვარადაა. მოცემული მომენტისთვის „რეალში“ მთავარი ფიგურა კარლო ანჩელოტია და „ბლანკოსის“ მომავალი, მინიმუმ ამ სეზონში, სწორედ მასზეა დამოკიდებული.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-კრისიუმა | 1:2 |
| კურიტიბა-სანტოსი | 1:0 |
| ბაია-ვიტორია | 2:0 |
| პონტე პრეტა-ატლეტიკო(მ) | 2:0 |
| ვასკუ-ფლუმინენსე | 1:0 |
| კორინთიანსი-ატლატიკო(პ) | 0:0 |
| კრუზეირო-სან პაულუ | 0:2 |
| ნაუტიკუ-ბოტაფოგო | 1:3 |

### ჩოგბურთი

**აკპ. შანხაი მასტერსი**

| | |
|---|---|
| ცონგა-ნიშიკორი | 7:6;6:0 |
| ფერერი-მაიერი | 4:6;3:6 |
| ფედერერი-მონფილსი | 4:6;7:6;3:6 |
| ბერდიხი-ალმაგრო | 7:6;3:6;6:7 |
| ჯოკოვიჩი-ფონინი | 6:3;6:3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სოხუმის პირველი ტიტული

**სოხუმი – არმია 84:57**

(27:6; 23:15; 18:15; 16:21)

**სოხუმი**: მეტრეველი (11ქ,10მ), ივანიჩი (2ქ), გოლეთიანი, ჩლაიძე (15ქ), კოპალიანი (2ქ), შვანგირაძე (6ქ), გაბისონია (2ქ), ბააკაშვილი (6ქ), ქადარია (16ქ,8მ), დეკანოიძე (2ქ), ბექაური (6ქ,7მ), ჯექსონი (16ქ,5პ)

**არმია**: ბაბუნაშვილი, ბაბიაშვილი (3ქ), ბოისა (3ქ), ბერიშვილი (9ქ,7მ), კვიმსაძე (13ქ), , ჯგერენაია (2ქ), წივწივაძე (13ქ), შარაბიძე (12ქ), კეიდია (2ქ)

არსებობის მანძილზე „სოხუმმა“ პირველი ტიტული – დუდუ დადიანის თასი მოიგო. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა დადიანის თასისთვის ფინალური შეხვედრა უპრობლემოდ მოუგო მის მოქმედ მფლობელ „არმიას“ – 84:57.

ფინალამდე ზღვისპირელებმა „შსს აკადემიას“ (89:69) და „ქუთაისს“ (80:78) მოუგეს, ხოლო ძალოვნებმა „ოლიმპი“ (55:47) და „რუსთავი“ (63:59) დაამარცხეს. კალათბურთის აკადემიის გადაჭედილ ტრიბუნაზე მსხდომი გულშემატკივრები დაძაბულ ორთაბრძოლას ელოდნენ, მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ სოხუმელები ახალ სეზონს დიდი ამბიციით ხვდებიან და საკმაოდ მოძლიერდნენ. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა მიმდინარე სეზონში კარგი გუნდი შეკრეს. უკანახაზში 2 ლეგიონერი – პეტერ ივანიჩის და დადიანის მემორიალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ჯოშუა ჯექსონის გარდა, საქართველოს ნაკრების მძიმე ფორვარდი ნიკა მეტრეველიც დაიმატეს. ჰყავთ, ვახტანგ ქადარია, ბექა ბექაური, ირაკლი ჩლაიძე, გრიგოლ შვანგირაძე, რატი ბააკაშვილი და მეტოქეს წარმატების მცირე შანსიც არ დაუტოვეს.

მატჩის ბედი პირველი მეოთხედის შემდეგ გადაწყვეტილი იყო. სოხუმელებმა საწყისი მეოთხედი 27:6 მოუგო „არმიას“ და როცა მეორე მეოთხედშიც ვითარება არ შეიცვალა, ცხადი გახდა, რომ დადიანის თასს ახალი მფლობელი ეყოლებოდა.

დიდი შესვენებისთვის სოხუმელთა უპირატესობა 29 ქულამდე გაიზარდა, ხოლო მესამე პერიოდში 30-ს გადააჭარბა. თამაში ისე ჩამთავრდა, სხვაობა 25 ქულას არ ჩამოსცილებია. კვარაცხელიას გუნდმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა და თავის ისტორიაში პირველი ტიტული მოიგო.



გამარჯვებულთა შორის საუკეთესონი ჯოშუა ჯექსონი (16 ქულა, 5 პასი) და ვახტანგ ქადარია (16 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი) გახდნენ. ირაკლი ჩლაიძემ 15 ქულა მოაგროვა, ხოლო ნიკა მეტრეველი მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი გახდა – 11 ქულა, 10 მოხსნა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ სოხუმელთა ამერიკელი უკანახაზელი ჯოშუა ჯექსონი დასახელდა, რომელსაც საგანგებო პრიზი დუდუს ძმისშვილებმა – ნიტა და სანდრო დადიანებმა გადასცეს. ნიტა და სანდრომ დააჯილდოვეს დადიანის თასით სოხუმელთა კაპიტანი ირაკლი ჩლაიძეც.

საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გამართულ შეხვედრებში ბრინჯაოს პრიზიორი და მე-5 ადგილის მფლობელი გუნდებიც გამოვლინდნენ.

შინაგან საქმეთა აკადემიის გუნდმა „ოლიმპს“ 88:68 მოუგო და მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო „ქუთაისმა“ „რუსთავი“ 103:77 დაამარცხა და ტურნირზე ბოლოსწინა – მე-5 ადგილის მფლობელი გახდა.

როგორც ანგარიშებიდან ჩანს, „შსს-აკადემიამ“ და „ქუთაისმა“ იოლი გამარჯვებები მოიპოვეს. ასეც იყო, მე-5 ადგილისთვის მატჩში ქუთაისელებმა საწყის 2 მატჩში განცდილი მარცხებისთვის შური რუსთაველებზე იძიეს. იმერულმა კლუბმა თავიდანვე რომ მაღალი ტემპი ირჩია, თამაშის ბოლომდე არ დაუგდია და საბოლოოდ დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

ქუთაისელთა შორის 17-17 ქულა სამმა კალათბურთელმა დააგროვა – ლევან გრძელიძემ, ავთანდილ ლომინაშვილმა და გიორგი ბარბაქაძემ. 11 ქულა ჰქონდა აკაკი დვალიშვილს, ხოლო 10 ზაურ ფაშაევს. „რუსთავში“ 17 ქულით ირაკლი ალხანაიძე გამოირჩა, ხოლო დავით გუგავამ პირად ანგარიშზე 13 ქულა ჩაიწერა.

მე-3 ადგილისთვის მატჩის პირველ მეოთხედში საინტერესო და თანაბარი ბრძოლა ვიხილეთ. „ოლიმპი“ რომელიც დისკვალიფიცირებული რიჩარდ მათიაშვილისა და ასისტენტი მწვრთნელის, გიორგი მარხვაშვილის გარეშე თამაშობდა, მაგრამ თავიდან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „შსს-აკადემიას“. მეორე პერიოდიდან აკადემიელებმა ინიციატივა მოიპოვეს, რაც ანგარიშზეც აისახა და დიდი შესვენებისთვის „შსს-აკადემია“ 40:34 დაწინაურდა.

მესამე პერიოდი გარდამტეხი აღმოჩნდა. აკადემიელებმა ილია ლონდარიძისა, რევაზ როგავასა და ბექა ჩიკვილაძის წინამძღოლობით 10-წუთეული 24:14 მოიგეს და მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყვიტეს.

„შსს-აკადემიაში“ 25 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა ლონდარიძემ, ხოლო ჩიკვილაძემ პირად ანგარიშზე 20 ქულა და 10 მოხსნა ჩაიწერა. 11-11 ქულით დაასრულეს შეხვედრა აკაკი ლომოურმა და რევაზ როგავამ.

# 19-წლამდელები სერბეთს დაუზავდნენ

**საქართველო – სერბეთი 1:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**0:1 ილიჩი (18), 1:1 ცინცაძე (24პ)**

**საქართველო**: ქურდაძე, კაკაბაძე (გაბაძე 58), თევზაძე (კუსიანი 86), ჭანტურია, ტაბიძე, ცინცაძე, ზარანდია (კერძევაძე 46), გოროზია (შენგელია 65), ჯიქია (ახვლედიანი 46), აბურჯანია, კიკაბიძე (მზევაშვილი 58)

**სერბეთი**: რაიკოვიჩი, ვიკო (იოვანოვიჩი 80), მილოშევიჩი, მილინკოვიჩ-სავიჩი, მარასი (ცვეტკოვიჩი 80), ბაბიჩი, შიმიჩი (პანტიჩი 58), მაქსიმოვიჩი, ილიჩი (მანდიჩი 80), გაჩინოვიჩი (ზუკანოვიჩი 80), ანტონოვი (რიშტიჩი 67)

ვასილ მაისურაძის 19-წლამდე ნაკრებმა, სერბ სტუმრებთან პირველი ამხანაგური მატჩი ფრედ – 1:1 დაასრულა.

სერბეთის ასაკობრივი ნაკრებები, ტრადიციულად, კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან და ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. ამ ფორმაციის 19-წლამდე ნაკრებში კი, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც წლევანდელ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩემპიონები გახდნენ.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, თუმცა, ჩვენი ფეხბურთელები ბურთს უფრო მეტხანს აკონტროლებდნენ. მიუხედავად ამისა, პირველი გოლი საკუთარ კარში მივიღეთ. დაცვის ხაზში დაშვებული შეცდომისა და ბურთის დაკარგვის შემდეგ, სტეფან ილიჩი ბექა ქურდაძესთან პირისპირ აღმოჩნდა და გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ქართველებმა წონასწორობის აღდგენა 24-ე წუთზე შეძლეს, როცა გიორგი გოროზიას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად მათე ცინცაძემ შეასრულა – 1:1. ტაიმი ამ ანგარიშით დასრულდა, თუმცა, მანამდე სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი შექმნეს საქართველოს ნაკრების კართან.

მეორე ტაიმიდან, გუნდების მწვრთნელებმა შეცვლების განხორციელება დაიწყეს. სერბები კვლავ სახიფათოდ იჩხვლიტებოდნენ. საქართველოს ნაკრები კი, მისთვის დამახასიათებელ ფეხბურთს ვერ აჩვენებდა. მატჩის ბოლოს, საჯარიმოს შესრულების შემდეგ, სერბებმა მეორე გოლის გატანა შეძლეს, თუმცა, ეს ბურთი არ ჩაითვალა, რადგან ჩვენს საჯარიმოში ერთბაშად 2 თუ 3 სერბი ფეხბურთელი თამაშგარეში იყო. რამდენიმე, მეტნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდათ ვასილ მაისურაძის ფეხბურთელებსაც, თუმცა მეტი გოლი აღარ გასულა.

### მატჩის შემდეგ

**ველჟკო პაუნოვიჩი:**

– ძალიან კარგი, დინამიური და კარგად საყურებელი თამაში გამოვიდა. იმედი მაქვს, სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა ისიამოვნა. ქართულ მხარესთან ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს და ასეთი თამაშები ჩვენი შეთანხმების საფუძველზე იგეგმება. ვფიქრობ, მომავალი თამაში უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგან გუნდები უკვე კარგად იცნობენ ერთმანეთს და შესაბამისად, მატჩიც განსხვავებული იქნება. თუმცა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მსაჯების მოქმედებით ძალიან უკმაყოფილო ვარ...

**ვასილ მაისურაძე:**

– დაცვაში აშკარად ბევრი შეცდომა დავუშვით. სრული შემადგენლობით თავიდანვე ვერ შევიკრიბეთ და ეს მხოლოდ ბოლო 3 დღე მოვახერხეთ, რადგან ბიჭებს თავიანთ კლუბებში ეროვნული ჩემპიონატის თამაშები ჰქონდათ და ესენი, ძირითადად, დაცვის ხაზში მოთამაშე ფეხბურთელები იყვნენ. დაღლილობა აშკარად იგრძნობოდა. თუმცა, ვთვლი, რომ დასაწყისისთვის ნორმალური თამაში გამოვიდა, რადგან ამ ასაკში ევროპის მოქმედ ჩემპიონ გუნდს დავუპირისპირდით და ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე ფეხბურთელი დღეს მოედანზე იყო. ძალიან კარგი გუნდია და შესაბამისად, თამაშიც რთულად წავიდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველი ფეხბურთელები და ჩვენ ყველა მოკლებულნი ვართ ასეთ სწრაფ ტემპში თამაშს და ვფიქრობ, რომ მომდევნო თამაშს უკეთ ვითამაშებთ. პენალტზე ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ ვიდეოჩანაწერი უნდა ვნახო. მსაჯობის ხარისხსა და დონეზე მე კომენტარს ვერ გავაკეთებ. არჩათვლილი გოლი დროს, ყველამ დაინახა თამაშგარე მდგომარეობა. ჩვენ რომ უცხოეთში ტურნირებზე მივდივართ, მსაჯობა ასეთი კი არა, ბევრჯერ ამაზე უარესია. ასე რომ, ძალიანაც ნუ გავიკვირვებთ, რადგან ჩვენ უარესებსაც გვიკეთებენ უცხოურ შეკრებებსა თუ თამაშებზე...

# მიურეი შემაჯამებელ ტურნირს გამოტოვებს

გუშინდელ ნომერში შემაჯამებელ ტურნირზე როჯერ ფედერერის შესაძლო ვერმოხვედრაზე ვწერდით, მაგრამ „მხიარულ როჯერს“ შანსები ბრიტანელმა ენდი მიურეიმ გაუზარდა, რომელმაც წელს „უიმბლდონის“ ჩემპიონობა იზეიმა, ამასთან საშინაო ტურნირებზე დაუმარცხებელი იყო და შემაჯამებელ ტურნირზე გამოსვლა მისთვის ერთგვარი გამოცდა იქნებოდა. საქმე ის არის, რომ შოტლანდიელმა რამდენიმე კვირის წინ წელზე ოპერაცია გაიკეთა, რომელიც 18 თვე აწუხებდა.

ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად ამისა ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ მიურეიმ გადაწყვეტილება მიიღო დარჩენილი ტურნირებიდან მოხსნილიყო და რეაბილიტაციის პროცესი მშვიდად განეგრძო.

შოტლანდიელი კორტებს ნოემბრის ბოლოს დაუბრუნებდა, მან უკვე განაცხადა თანხმობა საჩვენებელ მატჩში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც ბარბადოსზე გაიმართება, ხოლო 2014 წლის სეზონისთვის მომზადებას მაიამიში დაიწყებს.

**ენდი მიურეი:**

– ძალიან ვწუხვარ, რომ წელს ვერ მოვახერხებ გამოსვლას. მიყვარს საშინაო ტურნირები, მხარდაჭერა საოცარ ატმოსფეროს ქმნის და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მომავალ წელს შევძლო კვალიფიკაციის გავლა.

**ანდრე სილვა, ტურნირის დირექტორი:**

– ძალიან სამწუხაროა, რომ ენდი ვერ მიიღებს წლევანდელ ტურნირში მონაწილეობას, წელს ისტორიული გამარჯვების ავტორი იყო და დაგვაკლდება. ვუსურვებთ მალე გამოჯანმრთელებას და ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს უფრო ძლიერი დაგვიბრუნდება.

# რა ხდება თეატრალურ უნივერსიტეტში?

ეკა ირემაშვილი

**თეატრალურ უნივერსიტეტში გამეფებულ კრიმინალსა და კორუფციაზე ყოფილმა პროფესორ-მასწავლებლებმა მარინა მიქაუტაძემ, გია ჭუბაბრიამ და გოგი დოლიძემ ისაუბრეს. როგორც მათ აღნიშნეს, შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თეატრალური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად სამთვიანი ვადით თაკო ჩარკვიანს ითხოვს. მათი თქმით, თაკო ჩარკვიანი საქმის კურსშია და მზად არის ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს. მან დაევალება შექმნას ახალი საბჭო და რექტორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსისთვის ჯანსაღი გარემო უზრუნველყოს.**




**მარინა მიქაუტაძე:**

– თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში უმძიმესი კრიზისული სიტუაციაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არაერთგზის გვქონდა გამოსვლა სხვადასხვა სატელევიზიო ეთერით, პრესის საშუალებით ვსაუბრობდით ამ მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენი პრობლემები ისევ პრობლემებად რჩება. გვინდა, მივაწვდინოთ ხმა საქართველოს მთავარ პროკურატურას, საფინანსო პოლიციას, საქართველოს პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს ივანე კილურაძეს და პრემიერ- მინისტრს ბიძინა ივანიშვილს. საუბარია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში განვითარებულ და ტრადიციად ქცეულ კორუფციულ კრიმინალურ საქმეებზე. ჩვენ არაერთგზის მოვახდინეთ ამ ფაქტების მხილება, სამხილი ფაქტები დევს საფინანსო პოლიციაში, თბილისის და საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის, უფრო მეტიც, გადიდგულებული რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გოგი მარგველაშვილი თავის შინაურ წრეში საუბრობს ძალიან ღიად და მშვიდად, წერონ და იკითხონ რამდენიც უნდათო. საუბარია ჩემზე, გია ჭუბაბრიაზე, გოგი დოლიძეზე და ჩვენს თანამოაზრეებზე, ჩარეცხილ პროფესორ-მასწავლებლებზე, რომელთა სახელები და გვარები მრავლად არის ჩვენს წერილში წარმოდგენილი. ის გულისხმობს იმ განცხადებებს, რომლებიც წარდგენილია საფინანსო პოლიციაში და სხვადასხვა უწყებებში, ის ამბობს, რომ საქმე ადგილიდან მაინც არ დაიძვრება, ცვლილებები არ მოხდება, არ შევიდეთ მათთან დიალოგში, ცოტა ხანში ეს საკითხი მიავიწყდება საზოგადოებას და 20 წლის შემდეგ არავის ემახსოვრებაო.

***– რას გულისხმობთ?***

– საუბარია ორმაგი ბუღალტერიის წარმოებაზე. 2005 წლიდან, რაც მოვიდა გოგი მარგველაშვილი, მთელი უნივერსიტეტი ზის ორმაგ ბუღალტერიაზე. არსებობს შავი და თეთრი ბუღალტერია და როცა აუდიტი მოდის, თეთრ ბუღალტერიას აჩვენებენ. ჩვენ გვაქვს ფაქტები, ეს არის მთავარი ბუღალტრის გივი ბასიაშვილის მიერ გადმოცემული, რომელიც მიწერა საორგანიზაციო სამსახურის უფროსს ირინა თევდორაძეს. ეს არის კონკრეტული ფაქტი სასწავლო ცენტრთან დაკავშირებით. მისი შექმნა დამევალა მე 2007 წლის მარტში და ამავე წლის დეკემბერში ჩამომაშორეს ხელმძღვანელობას, რადგან როგორც კი შემოვიდა ფინანსები სასწავლო ცენტრში, ჩათვალეს, რომ საჭირო აღარ ვიყავი და ჩემს ადგილას დანიშნეს ვინმე გიორგი ფხაკაძე, რომლის ხელში დატრიალდა მთელი რიგი კორუფციული დანაშაულები. როცა მოვითხოვე სამი თვის კუთვნილი ხელფასი, რადგან ავტორი ვიყავი მთელი რიგი პროექტების და მათ მოიტანეს ფინანსური შემოსავალი უნივერსიტეტში, აღმოჩნდა, რომ ეს სასწავლო ცენტრი თურმე რეგისტრირებულიც არ ყოფილა უნივერსიტეტში, არადა, როცა რაიმე სეგმენტი ფუძნდება უნივერსიტეტში, იწერება ბრძანება, მის მომზადებაზე უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა აკისრია საორგანიზაციო სამსახურის უფროსს, ჩვენთან ასეთი უფროსია ირინა თევდორაძე, აღმოჩნდა, რომ მან ეს ბრძანება არ მოამზადა. ჩვენ არც ვიცოდით, რომ ეს სასწავლო ცენტრი ისე ფუნქციონირებდა, რომ ამის ბრძანება არ არსებობდა. 2009 წელს, როცა კუთვნილი ხელფასი ვერ მივიღეთ, აქ „გასკდა“ საქმე, რომ ბრძანება არ არსებობს. მთავარმა ბუღალტერმა დამიბარა და მკითხა, რის საფუძველზე იღებთ ხელფასს თქვენ და იქ მომუშავე ყველა ადმინისტრაციული პერსონალი, უფრო მეტიც, იქ მოწვეული და მომუშავე პროფესორ-მასწავლებელბი, როცა ბუნებაში არ არსებობს ბრძანება ამ სასწავლო ცენტრის არსებობის შესახებო. ვუთხარი, გამოითხოვეთ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამები, ბიზნესგეგმა, ხარჯთაღრიცხვა უნივერსიტეტის საორგანიზაციო განყოფილებიდან და თუ ამ წუთას არ არსებობს ბრძანება, აწი დაიწეროს-მეთქი, მაგრამ მან მითხრა, ეს უკვე გავაკეთე, მაგრამ განადგურებულია, დამტკიცებული ბიზნესგეგმა, სასწავლო პროგრამები და ხარჯთაღრიცხვა აღარ დევსო. ეს ყველაფერი დაწერა დოკუმენტურად, ხელიც მოაწერა და კანცელარიაშიც არის გატარებული. გავიდა ამდენი წელი და თევდორაძემ დღემდე არ გასცა არც ზეპირი და არც წერილობითი პასუხი გივი ბასიაშვილს. გივი ბასიაშვილი ორჯერ იმყოფებოდა რექტორთან და სურდა სიტუაციაში გარკვევა, მაგრამ ორივე შეხვედრამ უშედეგოდ ჩაიარა.

***– თქვენ ხელფასს როგორ იღებდით?***

– ხელფასს ვიღებდით, მაგრამ როგორ ვიღებდით, ეს აინტერესებდა გივი ბასიაშვილს.

***– როგორ იღებდით თანხებს სასწავლო ცენტრში პროექტების განხორციელებისთვის?***

– ეს რომ არ ვიცი და მაინტერესებს, იმიტომ მივმართეთ ჩვენ პროკურატურას და საფინანსო პოლიციას. ამავე კითხვებით გივი ბასიაშვილმა მიმართა რექტორს, მისწერა, რომ გარკვეულიყო სიტუაცია. თუკი ბუნებაში არ არსებობდა ახალი სეგმენტის ბრძანება უნივერსიტეტში, რის საფუძველზე გაწერა გიორგი ფხაკაძემ ეს ხარჯი? ჩვენ რომ ვერ აღმოვაჩინეთ ბრძანება, გიორგი ფხაკაძე დაიბარა გივი ბასიაშვილმა და უთხრა, ხელფასები, რომელიც შემოვიდა, ამ დროს 20 ათას ლარამდე იყო შემოსული ფინანსები ჩვენი პროექტებით სასწავლო ცენტრში, მოიტანე, სად არის ეს ფინანსებიო? ფხაკაძემ წარადგინა რაღაც ხარჯთაღრიცხვა, გივი ბასიაშვილმა თქვა, რომ მსგავსი ნაბოდვარი ხარჯთაღრიცხვა ბუნებაში არ მინახავსო. გივი ბასიაშვილმა ქვითრები მოითხოვა და ბუღალტერიაში არსად არ აღმოჩნდა გატარებული. სად გაგონილა, ადამიანი ამუშაო, გამოიყენო მისი ფიზიკური და ინტელექტუალური რესურსი და ანაზღაურება არ გადაუხადო?! რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება ასე?! ეს შეიძლება მხოლოდ ჩვენთან მოხდეს და ისიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, იმიტომ რომ იქ ათეული წლებია დამკვიდრებულია ტრეფიკინგის დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა, რადგან გამუშავებენ, იყენებენ შენს ინტელექტუალურ და ფიზიკურ რესურსს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მაგრამ, თუკი გაბედავ, ხელფასს მოითხოვ და ასეთი რამ თავში მოგივა, მაშინვე გპასუხობენ, თუ კუთვნილ ხელფასს მოითხოვ, სამსახურიდან გაგიშვებთო. პირადად თანამშრომლის პირით შემომითვალეს, როგორც კი ხელშეკრულება ამოიწურებოდა, სამსახურში ხელშეკრულება აღარ გამიფორმდებოდა, მაგრამ, თუ ჩემს ხელფასს არ მოვითხოვდი, ასეთ შემთხვევაში დამტოვებდნენ.

***– ვის ადანაშაულებთ ამ ყველაფერში?***

– ჩვენი კონკრეტული ბრალდება მიმართულია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გოგი მარგველაშვილისკენ, საორგანიზაციო სამსახურის უფროს ირინა თევდორაძისკენ, რომელმაც ბრძანება არ დაწერა და გიორგი ფხაკაძისკენ, სად არის წასული ეს თანხები, რომლებიც ბუნებაში არ არსებობს? ბუღალტერმა ვერაფერი იპოვა. იმის მაგივრად, რომ დასასჯელი დაესაჯათ, 2010 წლის ზაფხულში მე და მთავარი ბუღალტერი სამსახურიდან გამოგვიშვეს. როცა ჟურნალისტმა ჰკითხა, გივი ბასიაშვილი რატომ აღარ მუშაობსო, ასე უთხრეს, ორი სამსახური ჰქონდა და ჩვენთვის დრო აღარ რჩებოდაო.

***– რას ითხოვთ?***

– პირველ რიგში სამართლიანობის და კანონიერების აღდგენას ვითხოვთ. კორუმპირებული პირები, რომლებიც დღემდე იქ სხედან, ანგრევენ და სპობენ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს, აუცილებლად დაისაჯონ. უნივერსიტეტში განადგურებულია სასწავლო პროცესი, ლექციების დონე არის საკმაოდ დაბალი, შეიძლება, ერთი-ორი

ადამიანი თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ის არის სალექციო კურსი. სამეცნიერო სეგმენტი აბსოლუტურად განადგურებულია, იმიტომ რომ გოგი მარგველაშვილმა 5-6 წლის წინ გააუქმა ოფიციალურად სამეცნიერო სექტორი, რომელიც ძალიან დიდი ტრადიციების მქონე იყო, იქ კომპლექსური კვლევები მიდიოდა თეატრის, კინოს, მუსიკის, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და ფილოსოფიის მიმართულებით. მისი დამაარსებელი იყო პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე და 30 წელი იარსება. თუკი უნივერსიტეტი არ ატარებს სამეცნიერო ფუნქციას, მას რჩება მხოლოდ სასწავლო ფუნქცია და ის, როგორც უნივერსიტეტის სტატუსის მატარებელი აღარ არის, ის დაკნინებულია და ფაქტიურად არის კოლეჯი, რისკენაც მიაქანებდა ჩვენი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ამ ყველაფერს. მას ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ უნივერსიტეტი კოლეჯად გადაკეთებულიყო და ჩვენი შენობის გაყიდვაც უნდოდათ და სასტუმროდ გადაკეთებაც. ამ ყველაფრის შესახებ მივწერე კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას, სადაც ვსაუბრობ დეტალურად ყველაფერზე. უნივერსიტეტში ამ ყველაფერზე ყველამ ყველაფერი ვიცოდით, იქ იყო შეკრული ერთგვარი წრე – ლევან ხეთაგური, გოგი მარგველაშვილი, ნინო ბუთლიაშვილი, მაკა ბლიაძე, ირინა თევდორაძე. ეს ადამიანები დაასახელა მთავარმა ბუღალტერმა გივი ბასიაშვილმა.

***– ახლა თუ არსებობს ეს სასწავლო ცენტრი?***

– დიახ, სასწავლო ცენტრი ახლაც მუშაობს და ისევ გიორგი ფხაკაძეა იქ. გურამ ოდიშარიამ მომწერა საოცარი წერილი, რომელშიც ჩემი სათქმელი გაამყარა და დამიდასტურა. თუკი ეს ცენტრი ბუნებაში არ არსებობდა, გიორგი ფხაკაძემ 20-ათასიანი ხარჯი რის საფუძველზე გასწია? დაზარალებულები ვართ არა მარტო მე და ჩემი კოლეგები, არამედ სახელმწიფოც. ხელფასი ხომ იბეგრება და საშემოსავლო გადადის სახელმწიფო ხაზინაში? გამოდის რომ სახელმწიფოც გაქურდულია. ამ საქმეს არ იძიებენ მიზანმიმართულად, იმიტომ რომ მფარველები ჰყავდათ როგორც წინა ხელისუფლებაში, ახლანდელ ხელისუფლებაშიც და არიან სასათბურე პირობებში. გოგი მარგველაშვილი ჩვენ მოგვივლინეს ალექსანდრე ლომაიამ და გოკა გაბაშვილმა. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პრობლემები მთელი სახელმწიფოს პრობლემა უნდა იყოს, საზოგადოება არ შეიძლება ჩუმად იყოს, ამ სიჩუმეში და ბოროტებაში ხელს უწყობენ და აფარებენ რიგი ჩინოვნიკები გოგი მარგველაშვილს და ყოველი მათი ხელის დამფარებელი დამნაშავეა. დაინტერესდეს პროკურატურა, მინდა გამოძიებასთან თანამშრომლობა, რომელიმე მათგანი შემხვდეს და პირადად მოვახსენებ. ახლა რომ რექტორის არჩევნები იქნება, ჩვენ გვყავს ჩვენი კანდიდატი საზოგადოების საუკეთესო ღირსეული აქტიური სახე თაკო ჩარკვიანი. ის ჩვენს დიდ ნდობას იმსახურებს, მებრძოლი, ობიექტური და აქტიური ქალბატონია, ის თავს გაართმევს იმ პრობლემებს და დაიმსახურებს ჩვენს ნდობას, რომელსაც ვუცხადებთ საინიციატივო ჯგუფი. როგორც ვიცი, მათ უნდათ აკადემიური საბჭოს შემადგენლობა იგივე დატოვონ და რა თქმა უნდა, ისევ გოგი მარგველაშვილს აირჩევენ, თუ არადა, აირჩევენ ახალ სამეცნიერო საბჭოს და ისევ გოგი მარგველაშვილს აირჩევენ. ამ კაცმა 9 წელი ანგრია უნივერსიტეტი, მოშალა ადმინისტრაციული, სასწავლო, სამეცნიერო, ყველა სეგმენტი და მივიღეთ უმძიმესი მემკვიდრეობა. წერილი გვაქვს გამზადებული, მივმართეთ თაკოს თხოვნით, რომ ეს პასუხისმგებლობა აეღო და ის დაგვეთანხმა, გარდამავალ პერიოდში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყოს. ეს საკმაოდ კარგი პრეცედენტია.

**გოგი დოლიძე:**

– 4 წელია, არაფერი გაკეთებულა. სამი კონკრეტული საკითხი მაქვს, მაგრამ ერთ ფაქტს მოგიყვანთ იმის თაობაზე, თუ რა სიტუაციაა უნივერსიტეტში და როგორ განაგებს მას რექტორი და აკადემიური საბჭო. ჩვენ გვაქვს გამომცემლობა „კენტავრი“, რომელიც ბეჭდავს სხვადასხვა პროდუქციას. მას ხელმძღვანელობს შემთხვევითი ხალხი, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ ამ საქმესთან. გამოიცა ერთი დამხმარე სახელმძღვანელო. ამჟამად უნივერსიტეტში ვარ მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი და დავწერე განცხადება რექტორის სახელზე, რომ აკადემიურ საბჭოზე განვიხილოთ ეს დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც არის ძალიან ცუდი. ოთხჯერ მომიწია განცხადების დაწერა და ვერ მივაღწიე იმას, რომ სამეცნიერო საბჭოზე უნივერსიტეტის ერთადერთი მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი გამოვიდეს და თქვას თავისი შენიშვნები, რომ მსგავსი სახელმძღვანელო არ გამოვიდეს არასდროს.

***– როდის ეწურება ვადა გიორგი მარგველაშვილს?***

– 18 ოქტომბერს ეწურება ვადა. ხელი მოვაწერე წერილზე და თაკო ჩარკვიანს ვუჭერთ მხარს, რომ სამი თვე იყოს და მოამზადოს მომავალი რექტორის არჩევნები, რათა ინტერესთა კონფლიქტი გამოირიცხოს. საინიციატივო ჯგუფს აქვს უფლება, შეარჩიოს თავისი კანდიდატურა გარდამავალი ეტაპისთვის.

***– თქვენ როდის ჩაერთეთ ამ პროცესებში?***

– ეს ბრძოლა თავიდან დავიწყე მე 2009 წელს. ესენი ახლა შემოგვიერთდნენ, ორმა პროფესორმა, მე და მერაბ გეგიამ, შევიტანეთ განცხადება, რომ აქ არის კორუფცია, ეს მოხდა 2010 წელს. როცა სამჯერ შევაწუხეთ შესაბამისი ორგანოები, მოვიდა წერილი 2011 წელს, რომ საქმეს მიეცა ნომერი და მიმდინარეობს გამოძიება და გეცნობებათ დამატებით. გავიდა ამდენი წელი და არაფერი გაკეთებულა.

**გია ჭუბაბრია:**

– 50 წელია ვშრომობ ქართულ კინემატოგრაფში, 35 წელია ვმოღვაწეობ კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში, ასეთი სიცრუე, სიყალბე და ნეპოტიზმი არსად შემხვედრია, ვმუშაობდი რუსეთში, პოლონეთში, გერმანიაში ვასწავლიდი, მაგრამ სიყალბით და სიცრუით ასე გაჯერებული ადამიანები არსად მინახავს. როდესაც გავხდი 69 წლის, მაშინ მივმართე გოგი მარგველაშვილს, რომ მიმელო ე.წ. ემერეტუსი, ეს არის გარკვეული თანხა, რომელიც ყველას გვჭირდება, ვინც წესიერი შრომით ვცხოვრობთ. მან მითხრა, მოგცემთ მაგისტრატურასო. მოვამზადე მთელი პროგრამა მაგისტრატურის, ეს იყო 2009 წელს და ვუცდიდი, რომ გადავიდოდი მაგისტრატურაში და დავიწყებდი მუშაობას სტუდენტებთან. ეს აღმოჩნდა სიცრუე, არავითარი მაგისტრატურა არ მომცეს და დავრჩი ისე.

***– რას ითხოვთ?***

– მოვითხოვ, დამინიშნონ ემერეტუსის წოდება და, რასაკვირველია, თანხა. ჩემმა მეგობარმა გივი მუნჯიშვილმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე მიიღო ემერეტუსი. უნივერსიტეტში გიგი თევზაძის საშუალებით ჩემმა მეგობრებმაც მიიღეს ეს წოდება. 4-5 წელიწადია ერთ კაპიკს არ ვიღებ ინსტიტუტიდან, არადა, რადგან 35 წელია, ვარ უნივერსიტეტში და 50 წელია ვმოღვაწეობ კინემატოგრაფში, ეს წოდება მეკუთვნის. ამ სიცრუეში ჩემთვის ძალიან რთულია ცხოვრება. ჩვენი სწავლის დონე კინემატოგრაფში არის ძალიან დაბალი. ვაკეთებ პირველ ქართულ ხუთენოვან ენციკლოპედიას, კინოსა და ტელევიზიის ტერმინების ენციკლოპედიას თავისი განმარტებებით, ქართულად, რუსულად და მერე სინონიმებით ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად. ქართული კინო 100 წლისაა და საქართველოში არ დაწერილა ენციკლოპედია. იმის მაგივრად, რომ მხარში დამიდგეს უნივერსიტეტი, ჩემი საშუალებებით ვაკეთებ ყველაფერს, ამ უმაღლეს სასწავლებელში საკმაოდ დაბალი დონეა, წამყვანი არავინ არის დოკუმენტალისტიკაში, ვინც ფუნდამენტურად ასწავლის მომავალ თაობებს დოკუმენტალისტიკას. მთელი რიგი საგნებია, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტში არ იკითხება. ასეთი პრეტენზიები მაქვს და ეს ყველაფერი მოდის ცრუ კაცისაგან, რომელიც არის გიორგი მარგველაშვილი.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ თემებზე კომენტარს არ აკეთებს.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. ტბა აღმოსავლეთ საქართველოში; 4. პოპულარული პარკი თბილისში; 8. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 9. ხილის წვენების პიურესგან მომზადებული ტკბილეული; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. იაპონური ხის ფეხსაცმელი; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. ფრანგული საავტომობილო კონცერნი; 17. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 19. ავღანეთის დედაქალაქი; 21. არყის სასმელი პატარა ჭიქა.

**თარაზულად**: 5. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ფრანგი მხატვარი; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 13. პათოსით წარმოთქმული სიტყვა; 15. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 18. ღვინის ვაჭარი ძველად; 20. ხუჭუჭბეწვიანი დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 22. გათავისუფლებული მონა ძველ საბერძნეთში; 23. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 24. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. თაობა; 3. ხვიფლი; 5. „ქართუ“; 6. საფერავი; 8. სარწყუნისი; 10. აზურიტი; 12. კოსტავა; 14. „ალმაზა“; 15. ფინიკი; 16. პიეზა.

**თარაზულად:** 1. ჭანეთი; 4. ექსცესი; 7. სტოუნი; 9. ლუხუნი; 11. ტრაპეზი; 12. კაჭარავა; 13. არაქისი; 17. კელარი; 18. ეირე; 19. ზვიადაური; 20. პითაგორა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ახმეტა; 2. კვაზარი; 3. „ფუკუსიმა“; 4. მირაბელი; 8. კარბონადო; 9. მიკოლოგია; 11. პორთოსი; 12. თორი; 14. ლიმა; 16. ხიდაშელი; 17. შატბერდი; 19. კულაკი; 21. „შატლი“.

**თარაზულად:** 5. მურყვამი; 6. სათაფლია; 7. ნატახტარი; 10. ლიკანი; 13. ბიკილა; 15. არითმია; 18. აირანი; 20. კრისტი; 22. ბალახვანი; 23. პლესეცკი; 24. ალავერდი.

## ბიჭოლა უკრაინის მოდის კვირეულზეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წარადგენს. საგანგებოდ მოდის კვირეულზე მოწვეული საპატიო სტუმრებისთვის წვეულებები ეწყობა, სადაც აღიარებული დიჯეები და მუსიკოს-შემსრულებლები მონაწილეობენ.

ბიჭოლამ თავისი ახალი კოლექცია ყოველგვარი ბალიშებისა და კოვზების გარეშე შექმნა, ამჯერად მისი მუზა მექსიკელი ფერმწერი ფრიდა კალო გახდა. გაზაფხული-ზაფხული 2014 წლის კოლექციით ბიჭოლა წარმოადგენს, თუ როგორი იქნებოდა ეს ქალბატონი XIX საუკუნეში. ახალი კოლექცია კი შავი, თეთრი, ცისფერი და წითელი ქსოვილებით არის შექმნილი. ფრიდა კალოსეულ კოლექციაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თმას და ვარცხნილობას – მოდელებს ორიგინალური ვარცხნილობები ექნებათ და მათ თმებში ცოცხალი ყვავილები იქნება გაბნეული. უკვე დასრულებულია ფოტოსესიაც, რომლის ავტორიც ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი გრეგორი რეჯინია, მოდელად კი ბიჭოლამ იულიანა დემენტიევა აირჩია. ბიჭოლას ახალი კოლექციის ჩვენება უკრაინის მოდის კვირეულის ფარგლებში ნახევარ საათს გასტანს. ჩამოიტანს თუ არა თავის ახალ კოლექციას საქართველოში ბიჭოლა, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ქართველი დიზაინერი უკრაინაში უკვე კარგა ხანია ცხოვრობს და მოღვაწეობს და, როგორც ამბობს, იქაურ გარემოს საკმაოდ კარგადაც შეეგუა.

## სერბეთის პრემიერს მუქარის არ ეშინია



სერბეთის პრემიერს ივიცა დაჩიჩს, მისი ოჯახისა და ბავშვების მისამართით მუქარებზე მოახსენეს. პოლიციამ ბოროტმოქმედის ვინაობა უკვე დაადგინა, მაგრამ ის ჯერ დაპატიმრებული არ არის. დაჩიჩმა აღიარა, რომ ახლობლებზე წუხს, თუმცა მის მიმართ მუქარებს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ამის გაკეთებას არც მომავალში აპირებს, — იტყობინება „ერტეესი".

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სერბიის ხელმძღვანელობას ემუქრებიან. აპრილში, დაჩიჩმა და ვიცე-პრემიერმა ალექსანდრ ვუჩიჩმა, მობილურ ტელეფონზე ანგარიშწორების მუქარით უამრავი ესემესი მიიღეს.

აქცია სერბეთის რადიკალურმა პარტიამ (სრპ) მოაწყო, რომლის ლიდერი, სამხედრო დანაშაულობებში ბრალდებული, ჰაგის ციხეში მყოფი ვოისლავ შეშელია. მაშინ ფსიქოლოგიური თავდასხმის მიზეზი, სერბეთის მთავრობის მიერ კოსოვოს ხელისუფლებასთან შეთანხმების მხარდაჭერა გახდა.

## ლიბიელი ამბოხებულები პრემიერ-მინისტრის დაპატიმრების შესახებ იუწყებიან



ლიბიელი ამბოხებულები პრემიერ-მინისტრ ალი ზეიდანის დაპატიმრების შესახებ იუწყებიან. „ბიბისის" ინფორმაციით, დაჯგუფება, სახელად „რევოლუციონერთა ოპერატიული დანაყოფი" აცხადებს, რომ ზეიდანი პროკურორის მითითებით დააპატიმრეს.

აღნიშნულის მიზეზად დაჯგუფება ანას ალ-ლიბის დაკავების ოპერაციას ასახელებს, რომელიც შაბათს ტრიპოლში ამერიკულმა სპეცრაზმმა აიყვანა. ლიბიის იუსტიციის სამინისტრომ პრემიერ-მინისტრის დაკავების ორდერის გაცემა უარყო.

ინფორმაცია პრემიერ-მინისტრის გატაცების შესახებ ლიბიის მთავრობამ დღეს გაავრცელა. მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ალი ზეიდანი უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა გაურკვეველი მიზეზით აიყვანეს. ზეიდანის ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

„ლიბიის პრემიერ ალი ზეიდანის გატაცებაზე პასუხისმგებლობა ყოფილი შეირაღებული მებრძოლების დაჯგუფებამ „ლიბიელი რევოლუციონრებმა" აიღო, აღნიშნულის შესახებ „ალ ჯაზირა" აცხადებს. ლიბიის პრემიერის გატაცება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა დაგმო და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

## კიევი რუსულ გაზზე უარს ამბობს?

თუ გაზის მოქმედი კონტრაქტი არ გადაისინჯა, უკრაინამ უახლოეს წლებში, შესაძლოა, მთლიანად თქვას უარი რუსული გაზის იმპორტზე-აღნიშნულის შესახებ რუსულ ტელეარხზე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა.

„ამ ფასად გაზის ყიდვა ჩვენ უკვე შევამცირეთ და კიდევ შევამცირებთ; პერსპექტივაში, ეს უბრალო სიტყვები არ არის, უკრაინა მთლიანად უარს იტყვის ამ ფასად გაზის იმპორტზე",-განაცხადა აზაროვმა.

აზაროვმა ასევე დაამატა, რომ თუ რუსული გაზის ჰოლდინგი კიევს შეთანხმების შეუსრებლობის გამო უჩივლებს, უკრანა მზადაა „გაზპრომსა" და „ნაფტოგაზს" შორის მოქმედი გაზის კონტრაქტის აბსურდულობა დაამტკიცოს.

ევროკავშირისა და ნატოს კარი უკრაინისათვის კვლავ ღია რჩება — აღნიშნულის შესახებ ხუთშაბათს ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა.

„ევროკავშირის, ისევე როგორ ნატოს კარი უკრაინასთან ურთიერთობის გაღრმავებისათვის კვლავ ღია",-განუცხადა რასმუსენმა ბრიუსელში რეპორტიორებს.

მისი თქმით, მას უკრაინის „ჩრდილოატლანტიკურ" მომავალში ეჭვი არ ეპარება. როგორც ცნობილია, უკრაინა ნოემბერში ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას გეგმავს. ამ წლის თებერვალში, ბრიუსელში ნატო-უკრაინის კომისიის სხდომაზე რასმუსენმა დაადასტურა, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უკრაინასა და საქართველოს ნატოს წევრობის უფლება აქვთ, კვლავ ძალაში რჩება.

*მოამზადა*
*გერა მამულაშვილმა*

## აზერბაიჯანის არჩევნებში ხმათა 84,73%-ით ილჰამ ალიევი ლიდერობს



აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 84,73%-ით ილჰამ ალიევი ლიდერობს. „ბიბისის" ინფორმაციით, აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების 72% უკვე დაითვალა. კომისიის თავმჯდომარე მაზაჰირ პანახოვის განცხადებით, არსებული შედეგებით უკვე შესაძლებელია ითქვას, რომ მოქმედი პრეზიდენტი მესამე ვადით აირჩიეს.

„ბიულეტენების 72 % -ის დამუშავების შემდეგ, ალიევს ხმათა 84, 73 % აქვს. ციფრებში სხვაობა იმდენად დიდია, რომ ალბათ არა თუ ჩვენს მოქალაქეებს ალბატ არც ერთ სტრუქტურას საერთაშორისო თანამეგობრობისას არ ეეჭვება, რომ კანდიდატი რომელმაც ხმათა 84 % დააგროვა შესაძლოა გამარჯვებულად ჩაითვალოს", — განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ.

ილჰამ ალიევმა სატელევიზიო მიმართვაში აზერბაიჯანის მოსახლეობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა დავარწმუნო აზერბაიჯანელი ხალხი, რომ მე მომავალშიც ღირსეულად ვიმსახურებ ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ და ყოველთვის დავიცავ ჩვენი ქვეუნის იმტერესებს", — განაცხადა ალიევმა.

მოქმედი პრეზიდენტის ძირითადმა ოპონენტმა ჯამილ ჰასანლიმ, რომელიც არჩევნებში ოპოზიციური კოალიციის სახელით მონაწილეობდა, ამ დროისთვის მხოლოდ 8,2%-ის მხარდაჭერა მიიღო.

მმართველი პარტია „ახალი აზერბაიჯანის" დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ოპოზიციის საუბარი არჩევნებზე მასობრივი დარღვევების შესახებ, გამოგონილია. ჩეხეთის პარლამენტის დამკვირვებლები კი აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებს მშვიდობიანს უწოდებენ, რომელმაც წყნარ ვითარებაში ჩაიარა.

ალიევის მომხრეები საღამოს ჰუსეინ ჯავიდის სახელობის ბაქოს ერთ-ერთ ცენტრალურ პარკში შეიკრიბნენ და ფავორიტის გამარჯვება იზეიმეს. ქალაქის ქუჩებში მოძრაობენ ავტომობილები სახელმწიფო დროშებით.

ამაოსბაში, რუსეთში აზერბაიჯანის ელჩმა, ფოლად ბულბულოღლიმ განაცხადა, რომ არჩევნები ღიად და სამართლიანად, დემოკრატიული სტანდარტების დაცვით ჩატარდა. „დღეს აზერბაიჯანში ბიულტენებით მანიპულაციას აზრი არ აქვს. ხალხს ვერ მოატყუებ. ყველა — განათლებული ადამიანია, ისინი ხედავენ, რა არის ქვეყნისთვის უკეთესი", — აცხადებს დიპლომტი.

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულ ატმოსფეროში ჩატარდა, განაცხადა თავის მხრივ გერმანელ დამკვირვებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ედუარდ ლინტნერმა: „თავად არჩევნების პროცესი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და პასუხობს ისეთივე სტანდარტებს, როგორიც მაგალითად გერმანიაშია".

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ხმა მისცეს ყველაზე ხანდაზმულმა ადამიანებმაც. მასალის რაიონში მცხოვრებმა 106 წლის აგაბეი მირიევმა განაცხადა, რომ ხმა „ყველაზე ღირსეულ კანდიდატს" მისცა.

## ქონებრივი უთანასწორობით რუსეთი ლიდერობს



ქონებისა და შემოსავლების უთანასწორო განაწილების მხრივ, რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა — დღეისთვის 110 მილარდერს, მთელი ნაციონალური სიმდიდრის 35% ეკუთვნის. ამ რეიტინგში რუსეთი, მხოლოდ კარიბის აუზის რამდენიმე მცირე სახელმწიფოს ჩამორჩება, ნათქვამია შვეციარიული ბანკის, „კრედიტ სვისის" მიმოხილვაში.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მთლიანობაში, მსოფლიოს მილიარდერები ნაციონალური კეთილდღეობის 1-2%-ს ფლობენ და შიდამეურნეობის თითოეულ 170 მილიარდზე, ერთი მილიარდერი მოდის. რუსეთში ერთი მილიარდერი მოდის შიდამეურნეობის 11 მილიარდ დოლარზე და 110 ოლიგარქი ნაციონალური ქონების 35%-ს ფლობს.

ასეთი უთანასწორობის მიზეზად, ბანკის ანალიტიკოსები 1990-იანი წლების გარდამავალ პერიოდში ბაზრის მდგომარეობას ასახელებენ, როდესაც ადმინისტრაციული ქაოსის ფონზე, სოციალური დაცვის საბჭოთა მექანიზმები დაინგრა. თუკი ამ პერიოდის დასაწყისში, ნაციონალური სიმდიდრის სამართლიანად გასანაწილებლად ზომებს იღებდნენ, მაგალითად, ეს იყო საცხოვრებლის პრივატიზაცია და „გაზპრომის" აქციების მოქალაქეებისთვის განაწილება, საბოლოოდ, შემოსავლების ზრდის მიუხედავად, განაწილება სულ უფრო არაერთგვაროვანი ხდებოდა.

„იმედები გვქონდა, რომ რუსეთი გადაიქცეოდა მაღალკვალიფიციურ და მაღალშემოსავლიან ეკონომიკად, საბჭოთა დროიდან მემკვიდრეობით მიღებული სოციალური დაცვის ძლიერი პროგრამებით. პრაქტიკულად კი, თითქმის პაროდია გამოვიდა", — წერენ ანალიტიკოსები.

„კრედიტ სვისის" შეფასებით, 2013 წელს რუსეთში იყო 1986 ადამიანი, რომლის ქონება 50 მილიონ დოლარს აღემატება. ქვეყანაში 84 მილიონერი დაითვალეს. 2018 წლისთვის ბანკი პროგნოზირებს, რომ მილიონერების რაოდენობა 133-მდე გაიზრდება.

„ფორბსის" ვერსიით, 2013 წელს რუსეთში 110 მილიარდერია (დოლარში იგულისხმება), რომელთაგან ყველაზე მდიდრებად აღიარებულია ალიშარ უსმანოვი 17,6 მილიარდი დოლარით, მიხაილ ფრიდმანი (16,5 მილიარდი დოლარი), ლეონიდ მიხელსონი (15,4 მლრდ), ვიქტორ ვექსელბრგი (15,1 მლრდ.) და ვაგიტ ალეკპეროვი (14,8 მილიარდი დოლარი).

## ირაკლი კალანდარიშვილს



გილოცავთ დაბადების დღეს!

შენს დაბადების დღეს პირველად ვხვდებით შენ გარეშე. ვერც კი წარმოგვიდგენია, ჩვენო უსაყვარლესო, ჭკვიანო და ნიჭიერო კაცო.

სწორედაც რომ შენზეა ნათქვამი: კაცმა თავისი ცხოვრება მხოლოდ საკუთარი მრწამსითა და შეხედულებით განვლოო. სხვების რჩევებს უკვირდებოდი, საკუთარ აზრებს კი განსაკუთრებით უფრთხილდებოდი.

ჩვენ შორის ბავშვობიდან გამორჩეული იყავი თავდაჯერებულობითა და დასახული მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვით. სწორედ ამ თვისებამ შეგაძლებინა შენი სურვილი, დედის ნატვრა აგესრულებინა — გამხდარიყავი ექიმი...

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით შენზე, როგორც სპეციალისტზე, მაგრამ ერთის თქმა ამაყად შეგვიძლია — რომ არასდროს გიღალატია შენი საქმისთვის. მაქსიმალურად იხარჯებოდი ავადმყოფებისთვის და ალალად, ანგარების გარეშე ილვწოდი შენ გარშემო მყოფი კოლეგების, მეგობრებისა და ნათესავების კეთილდღეობისათვის. ყოველთვის სიკეთესა და სიყვარულს თესავდი, განსაკუთრებით ადამიანთა შორის ურთიერთობაში. ეს იცოდი ყველაზე კარგად და ეს იყო შენი დიდი ფუფუნება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ვერ გაუგო შენს ამაღლებულ გრძნობებს, არადა შენ, ჩვენთვის ამ დიდებული გვარის წარმომადგენელს, ყველასადმი მხოლოდ ერთი მოთხოვნილება გქონდა — კეთილი ღიმილი და თბილი ალერსი. ყოველივე ამით განებივრებული იყავი შენი დაიკოს — მანანას თანადგომით.

სიცოცხლის ბოლო წლები გაატარე შენს რჩეულთან — ნანასთან ერთად, რომელიც, შენი გულწრფელი აღიარებით, შენთვის იდეალური ქალის განსახიერება იყო. თქვენ ერთმანეთს აჩუქეთ ყველაზე ამაღლებული და ძვირფასი გრძნობა — სიყვარული. ეს გრძნობა გაგყვა მისგან სასუფეველში, ხოლო ნანას დაუტოვე გულის სიღრმეში.

შეგეყარა განუკურნებელი სენი. შენს ადგილზე ბევრი ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ აქაც შენ აღმოჩნდი ის კაცი, რომელმაც, ტანჯვის მიუხედავად, გარემოებათა წინაშე ქედი არ მოიხარე, იბრძოლე, სულით არ დაეცი და შენი ჯვარი სამარის კარამდე სიამაყით მიიტანე.

ჩვენც აქ მოჩვენებითი სიმშვიდით შევეგუებით შენ გარეშე არსებობას ერთი მიზეზის გამო. ეს მიზეზია შენი შვილები, ის, რომ შენი გენი, შენი ჯილაგი შენ შემდეგ ხარობს. ისინი ხომ შენი სულით იზრდებიან. აქედან გამომდინარე, იმედი არ კვდება და ისევ შენივე ხასიათიდან გამომდინარე, ვირწმუნეთ, რომ გარდაიცვალო — არ ნიშნავს, მოკვდე, გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს.

ასე რომ, ჩვენო ძვირფასო კაცო, გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენ, ღვთის წყალობით, ყოველთვის ერთად ვართ და ვიქნებით!

***შენი ბიძაშვილის შვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები***

# სამგლოვიარო განცხადებები



უახლოესი მეზობლები სამძიმარს უცხადებენ ელგუჯა და გელა ქირიების ოჯახს დედის

**ვენერა ჩხეტიას**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 11 ოქტომბერს.

დაკრძალვა: შაბათს, 12 ოქტომბერს, 15 საათზე.

მისამართი: დაბა წყნეთი, „ა" ზონა, კოტეჯი №10.

---

მაკა ოსიშვილი და ჯუგული ძიძიგური იუწყებიან

**თემურ ჩხიკვიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 11 ოქტომბერი**

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** 10 საბ. ან/სერ."" კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "განძთა კუნძული" **12.40** მხ.ფ "**დედა**" **14.30** ტ.სერ "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **19.30** დ/ფ "დიზაინი" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.15** მხ.ფ "**ტროა**" (ბ. პიტი) **00.20** მხ.ფ "**კიბორჩხალა სადილზე**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" — "ეროვნულ დემოკრატიული პარტია" (ხუთშ. გ/ჩვ) **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" - "დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40** იმედის გმირები (**06.10.13** გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ, გააჩერე (**06.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **20** სერ. **21.50** თოქ შოუ - ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ."**კამორას კლანი**" მე-**10** სერია **01.00** მხ/ფ "**სისხლიანი განაჩენი**" (უ. დეფო)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **07.15** მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ "**წერილი ნაძვეზს**" **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მოცურავე**" **13.25** ქართული მულტფილმი **14.00** დოკ/ფ "ხელოვნების ქურუმი" გოგი გეგეჭკორი **14.45** ფოტოგალერეა **14.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** ფილმი-კონცერტი "წელიწადის დრონი" **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ/ფ "**თემო**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **01.00** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "ასი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

---

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6622

ევრო — 2,2475

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6557

100 რუსული რუბლი — 5,1363

## ამინდის პროგნოზი 11 ოქტომბრისთვის





## მალე!

## ქართული დეტექტივი

## ტომი 3

## იორამ ჩადუნელი

## საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ........................ მგლის ბილიკი

ტომი 2 ........................ შავი ვარდი

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები






## 15 ოქტომბრიდან!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

## ტომი 4

## ფრანგული ზღაპრები

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


# ემზარ ზენაიშვილი: საქართველოში სოჭში გამგზავრებაზე ორჭოფობენ




ყაზახეთის ქალაქ ალმათაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით მიმდინარეობს დსთ-ს, ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა რეგიონალური ფორუმი, რომელსაც ჩვენი ქვეყნიდან სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და „თბილისი 2015“-ის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ხაჩიძე ესწრებიან.

უკვე შედგა 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოკლე პრეზენტაცია, შემდეგ კი დამსწრეთ ემზარ ზენაიშვილმა მიმართა.

დაახლოებით 30-წუთიან გამოსვლაში, სეოკ-ის გენერალური მდივანი შეეხო მცოცავი ოკუპაციის, „სოჭი 2014“-ის ტელე-ჟურნალისტთა საკრედიტაციო სისტემაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებად შეყვანას და ერთ-ერთ მეჩირალდნედ სამხედრო მფრინავის, ივან ნიჩაევის დაყენებას, რომელიც 5 წლის წინ საქართველოს ქალაქებს ბომბავდა. ემზარ ზენაიშვილმა ამ ფაქტებს მკაცრი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ სოჭის ოლიმპიადაზე მონაწილეობა-არმონაწილეობის თაობაზე საქართველოში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი.

**ემზარ ზენაიშვილი:**

— რამდენიმე თვის წინ, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა არცთუ ისე ადვილი გადაწყვეტილება მიიღო და დათანხმდა სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას. ერთი შეხედვით, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ჩვენ დიდი ოლიმპიური ოჯახის წევრი ვართ. სამწუხაროა, რომ მას შემდეგ რომ სხვადასხვა სახის პროვოკაციებს ვაწყდებით. დვანსა და დიცში მიმდინარე მოვლენები, ჟურნალისტთა საკრედიტაციო სისტემაში სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებული გაუგებრობა და სამხედრო მფრინავი მეჩირაღდნე, სხვა არაფერია, თუ არა ცეცხლზე ნავთის დასხმა. ამან ქართველ ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. ის ადამიანები, რომლებიც ემხრობოდნენ ჩვენს სოჭში გამგზავრებას უკვე ორჭოფობენ, არიან რადიკალურად განწყობილებიც.

მ. ჟ.

# კანადელი მწერალი ელის მანრო ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა

კანადელი მწერალი ელის მანრო ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ავრცელებს.

„ელის მანრო თანამედროვე მოკლე მოთხრობების ოსტატია“, — ასე უწოდა ნობელიანტ მწერალს შვედეთის ნობელის აკადემიის მდივანმა პეტერ ენგლუდმა.

პრემიის სახით კანადელ მწერალს 8 მილიონი შვედური კრონა (1,25 მილიონი დოლარი) გადაეცემა.

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია წლევანდელი წლის რიგით მეოთხე პრიზია. 2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები უკვე გამოვლინდნენ მედიცინის, ქიმიისა და ფიზიკის დარგში.

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის გასული წლის გამარჯვებული ჩინელი მო იანია.

მიმდინარე წლის ნობელის პრემია ქიმიის დარგში მეცნიერებს მარტინ კარპლიუსს, მაიკლ ლევიტს და არი უორშერს რთული ქიმიური სისტემების მოდელების განვითარებისათვის გადაეცემათ. განცხადება ამის შესახებ სტოკჰოლმში მდებარე შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ გააკეთა.

ამ პრემიის ლაურეატებმა ისეთი მძლავრი კომპიუტერული პროგრამების შექ-



მნას ჩაუყარეს საფუძველი, რომლებიც ქიმიური პროცესების გაგებისა და წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა.

კარპლიუსი, ლევიტი და უორშერი კვანტური ფიზიკის მიდგომებს იყენებდნენ იმისთვის, რათა ცოცხალ უჯრედებში მოლეკულების სტრუქტურა და ფუნქცია გაერკვიათ და ასევე ახალი პრეპარატები შეექმნათ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში ბრიტანელ ფიზიკოსს პიტერ ჰიგსსა და ბელგიელ ფრანსუა ენგლერს ელემენტარული ნაწილაკების მასების წარმომავლობის გაგების უზრუნველმყოფი მექანიზმის თეორიული აღმოჩენისათვის მიენიჭათ.

ბელგიელი ფრანსუა ენგლერი 1932 წელსაა დაბადებული, ბრიტანელი პიტერ ჰიგსი კი 1929 წელს.

2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები მედიცინის დარგში მეცნიერები ჯეიმს როტმანი, რენდი შეკმანი და ტომას ზიუდხოფი გახდნენ. მათ ადამიანის უჯრედებში, ნივთიერებების ტრასნპორტირების რეგულირების მექანიზმი გახსნეს.

ნობელის კომიტეტის ინფორმაციით, ამერიკელი და გერმანელი მეცნიერების აღმოჩენამ საშულება შექმნა გაგვეგო, თუ როგორ გადაადგილდება უჯრედის შიგნის ტვირთი საჭირო დროსა და საჭირო ადგილას.

ამ სისტემის მოშლა, შესაძლოა იმუნოლოგიური და ნევროლოგიური დაავადებების წარმოქმნის ერთ ერთი მიზეზი გახდეს. ასევე ხელი შეუწყოს დიაბეტის წარმოქმნას.

ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია, ტრადიციულად 10 დეკემბერს, სტოკჰოლმში, ალფრედ ნობელის გარდაცვალების დღეს გაიმართება.

მიმდინარე წელს მედიცინაში ნობელის პრემიის ოდენობა 1,2 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რომლებიც ლაურეატთა შორის თანაბრად გადანაწილდება.

გ. მ.

# ბიჭოლა უკრაინის მოდის კვირეულზეა

ეკა ირემაშვილი

ქართველი დიზაინერი, ბიჭოლა, რომელიც ანუკი არეშიძესთან დაშორების შემდეგ მარტო ქმნის თავის კოლექციებს, 13 ოქტომბერს უკრაინის რიგით 33-ე მოდის კვირეულში მიიღებს მონაწილეობას. ეს იქნება პირველი დამოუკიდებელი ჩვენება მას შემდეგ, რაც ბრენდი „ბიჭოლა და ანუკი“ აღარ არსებობს.

უკრაინის მოდის კვირეული 8 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა და მასში არა მარტო უკრაინელი, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან სპეციალურად მიწვეული დიზაინერებიც მონაწილეობენ. მოდის კვირეულის ფარგლებში, რომელიც 13 ოქტომბერს დაიხურება, დაგეგმილია პრეზენტაციები, ახალი სახელების წარდგენა, ინსტალაციებისა და ფეშენ ლანჩების მოწყობა, სპეციალური პროექტების განხორ-



ციელება.

9 ოქტომბერს უკრაინის მოდის კვირეულში ახალი კოლექციით მონაწილეობა უკვე მიიღო კიდევ ერთმა ქართველმა დიზაინერმა, ავთანდილმა. მან ძირითადი აქცენტი ღია ფერებზე გააკეთა — ცისფერი, თეთრი ჟოლოსფერი, ღია წითელი — ამ შეფერილობის ქსოვილებით მან სრულიად ახალი კოლექცია წარმოადგინა. მთლიანობაში, ავთანდილმა უკრაინელ საზოგადოებას 35 ნამუშევარი უჩვენა. მან კიევში მაღაზიის გახსნაც დაგეგმა, სადაც მისი ბოლო ნამუშევრები განთავსდება. დიზაინერი საქართველოში 15 ოქტომბერს დაბრუნდება. მისი სამოსის შეძენა, საქართველოს გარდა, უკვე შესაძლებელია საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, რუსეთში, კუვეიტში და ახლა უკვე უკრაინაშიც.

ამ ღონისძიებაში მონაწილე ყველა დიზაინერი გაზაფხული-ზაფხულის 2014 წლის კოლექციებს

გაგრძელება მე-10 გვერდზე




## კროსვორდი

**შვეულად**: 1. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 2. საჭმელი სოკო; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. დახურული ტიპის ძარის მქონე მსუბუქი ავტომობილი; 8. თევზების შემსწავლელი მეცნიერება; 10. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 12. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. მდინარე ტოკიოში; 16. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

**თარაზულად**: 1. მგალობელი ჩიტი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. ანგორული თხის მატყლი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული; 12. ჰუსართა მუნდირი; 13. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 17. პოპულარული პლაჟი ლოს-ანჯელესში; 18. ქალაქი ინდოეთში, სადაც განთავსებულია ტაჯმახალის ტაძარი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ყველამ გაითვალისწინეთ!

**ჰარმონიული დღეა**




**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** — ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **კირჩხიბი** — ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — ახალი საქმე მალე გამოჩნდება, ფულიც გექნებათ. **ქალწული** — არ გარისკოთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მისით დაინტერესდებით. **მშვილდოსანი** — დააკვირდით თქვენს თავს, დაფიქრდით და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** — მთელ ფულს დღეს ნუ დახარჯავთ, ცოტა შემოინახეთ. **მერწყული** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — საკითხი გაურკვეველია, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!